

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424

ბადაქარბაბული, მაგრამ ბასაბაბი მოლოდინი

A2



ოზამას ეკონომიკური გეგმა

A8



ქართველები ჰინაქენს მიღმა აღმორდენა

A13



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

The New York Times

SUNDAY, JANUARY 25, 2009

Articles selected for **24 საათი**

Copyright © 2009 The New York Times

A Downturn With An Upside

A global slowdown, a credit crunch, rising unemployment, falling markets: "It's a wonderful time," said the Reverend A. R. Bernard.

LENS



As Mr. Bernard, the founder and senior pastor of the Christian Cultural Center in Brooklyn, New York, explained to Paul Vitello of The Times, bad economies can be good for churches. Calling the current turmoil "a great evangelistic opportunity for us," he said congregations grow in times of anxiety. "When people are shaken to the core, it can open doors."

Ministers are not alone in seeing opportunity, spiritual or otherwise, in the midst of distress.

In France, for example, some leading intellectuals are celebrating the recessionary struggles of the nation's luxury-goods industry, which they say has perverted the culture's values. "They represent waste, the superficial, the inequality of wealth," Gilles Lipovetsky, a sociologist who has written several books about consumerism, told Elaine Sciolino of The Times. "They have no need to exist."

Many people, Ms. Sciolino wrote, now see "the potential for a restoration of the classic French virtues of restraint and modesty."

Similarly, Michael Cannell wrote an obituary in The Times for the inflated design world of recent years, with its lavish parties and Campana Brothers chairs selling for nearly \$9,000. In its wake, there may emerge a more utilitarian emphasis on serving the needs of the masses, as happened during the 1930s.

იხილეთ მანათი



Barack Obama, seen in a television camera's viewfinder, has had to recalibrate his focus as events like the financial crisis supervened.

A World of Challenges

ბადაქარბაბული "ნაბუკოს" ბადაქარბაბული

რუსეთ-უკრაინის გაზის ომმა ევროპას აშკარად ახალი სურათი გაუხსნა ნაბუკოს (სამხრეთის სტრატეგიული გაზსადენის) პროექტთან მიმართებით. 26-28 იანვარს, ბუდაპეშტში მიმდინარე საერთაშორისო ენერჯეტიკულ სამიტზე ამ პროექტის მომავლის განსაზღვრას ელიან. სამიტში ევროკავშირის, აშშ-ს, გერმანიის, თურქეთის, ავსტრიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, აზერბაიჯანის, ეგვიპტის და რამდენიმე სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს დელეგაციაც მონაწილეობს.

თამარ ხორბალაძე

ქართულ დელეგაციას, პრემიერ გრიგოლ მგალობლიშვილის ნაცვლად (რომელიც კვლავ გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ), პირველი ვიცე-პრემიერი ნიკა გილაური ხელმძღვანელობს. გილაური ბუდაპეშტში ლონდონიდან ჩავიდა. დელეგაციის შემადგენლობაშია ენერჯეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგურიც.

სამიტზე, რომელიც ხვალაც გაგრძელდება, მოსალოდნელია "ნაბუკოს" გაზსადენის პროექტის განხორციელების შესახებ გადამწყვეტილების მიღება.

ცნობისათვის - "ნაბუკოს" პროექტი პირველ ეტაპზე ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის გაგრძელებაზე ახალი მილსადენის მშენებლობას ითვალისწინებს. ამ მილსადენით, საქართვე-

ლოსა და თურქეთის გავლით, ევროპის მიმართულებით, უნდა მოხდეს აზერბაიჯანული და შუა-აზიური გაზის ტრანსპორტირება. პირველ ეტაპზე, გაზსადენის მშენებლობით წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება იქნება შესაძლებელი. გაზსადენის სიგრძე, დაახლოებით, 3300 კილომეტრია, პროექტის ღირებულება კი, დაახლოებით, 7,9 მილიარდი ევრო.

"ნაბუკოს" პროექტის ანუ რუსეთის გვერდის ავლით მოქმედი დიდი სამხრეთული გაზსადენის პროექტის ირგვლივ საუბრები უკვე კარგა ხანია, მიდის, თუმცა მისი მასშტაბიდან და მთელი რიგი წინააღმდეგობებიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდამდე ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ პროექტს ქალაქებზე დარჩენა კიდევ დიდი ხნის მანძილზე ემუქრებოდა.

ბარძილაბა A2 გვერდზე

აუთო: უფროხილდით მას, ვინც ზოლოს იცინის

დევნილ ზ. სმიტი

საკვილაპარად "24 საათისთვის"

გასულ კვირას ოფიციალურმა მოსკოვმა თავი მკაცრ ქვეყნად წარმოადგინა, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოებაზე იშვიათი კომიკური კონტრასტით ახდენს კონცენტრირებას - ხმამაღალი სიცილით. 19 და 21 იანვარს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა ქართული სამხედრო აღჭურვილობის ინსპექცია, ვენის 1999 წელს მიღებული ეუთო-ს დოკუმენტის შესაბამისად. ხუმრობა ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ოფიციალურმა თბილისმა კატეგორიულად უარყო მისი მოთხოვნა - ისე, როგორც მოქცეოდა ნებისმიერი მთავრობა, რომელიც არ იმყოფება ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე.

22 იანვარს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ვენის 1999 წლის დოკუმენტის საფუძველზე, რუსეთის მოთხოვნას ფორს-მაჟორზე უარით მოკლედ უპასუხა. ფორს-მაჟორი ზოგადი იურიდიული ტერმინია, რომელიც ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულების ვალდებულებიდან მისი შესრულების უუნარობიდან გამომდინარე.

"2008 წლის აგვისტოში რუსე-

თის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილის ოკუპაცია, ადამიანის უფლებების სერიოზული და მასობრივი დარღვევა და აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი, ისევე როგორც ამავე ტერიტორიებზე ადგილობრივ მოსახლეობაში ჩატარებული ეთნიკური წმენდა," - ნათქვამია ქართული მხარის განცხადებაში.

საქართველოს საგარეო უწყებაში გამართული შეხვედრის შემდეგ თბილისში ევროკავშირის წარმომადგენელმა პერ ეკლუნდმა განაცხადა, რომ "თუ ოკუპაცია არ არის ფორს-მაჟორი, მაშინ არ ვიცი, მას სხვაგვარად რა ეწოდება."

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება კი შემდეგი სიტყვებით გრძელდება: "რუსეთის ქმედებები პირდაპირ ეწინააღმდეგება ეუთო-ს ვენის 1999 წლის დოკუმენტის ძირითად პრინციპებს და ხელშეკრულების უპირველეს მიზანს - განავითაროს ნდობა და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების მშენებლობას."

ბარძილაბა A3 გვერდზე

ბადაჭარბებული, მებრამ ბასაბები მოლოდინი

აკა კვსიტაძე

"საქართველოში საზოგადოება უნდა მიეჩვიოს იმას, რომ არ შეიძლება ადამიანს დაუკავშირო დიდი ემოციური მოლოდინი, ვიდრე არ გაარკვევ, რა ამოძრავებს მას და რა ღირებულებების მქონეა," - ეს ირაკლი ალასანიას ინტერვიუდან ამონარიდია, რომელიც მან ჟურნალ "ცხელ შოკოლადს" მისცა. დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ გაეროს ყოფილი ელჩმა დამოუკიდებელი დაარსება და მედიასთან ურთიერთობა დაიწყო - "ცხელი შოკოლადისა" და "პირველი არხის" საშუალებით. თუმცა ამ ინტერვიუების შემდეგ, ჩვენს ცოდნას ირაკლი ალასანიასზე ბევრი არაფერი შემატებია - ის თავდაჭერილი, კორექტული და ღირსეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მისი განცხადებები ისევე ზოგადი ხასიათისაა და ისევე მოკლებული საჭირო კონკრეტულს, როგორც ოპოზიციის ყველა სხვა ლიდერის - რატომ გადადგა ხელისუფლებამ ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში მცდარი ნაბიჯი და მის ადგილას რა ტაქტიკას აირჩევდა. კონკრეტულად რას გააკეთებდა დღეს არსებული ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე და ასე შემდეგ.

ამ ინტერვიუებიდან ისიც უცნობი დარჩა, რა გეგმები აქვს გაეროში ყოფილ ელჩს - ამბობს, რომ ამ ეტაპზე არც საკუთარი პარტიის შექმნას აპირებს და არც სხვა პარტიებთან გაერთიანებას. არც იმას ამბობს, ხედავს თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატად საკუთარი თავს. ანუ ვერჯერობით ზუსტად არ ვიცით, რა ამოძრავებს მას. ბევრი რამ არც მისი ღირებულებების შესახებ ვიცით. რადგან პასუხები



მნიშვნელოვან კითხვებზე ალასანიას ჯერ არ გაუცია, ეს მნიშვნელოვანი კითხვები კი მხოლოდ საგარეო პოლიტიკას არ ეხება, არამედ ეკონომიკას, განათლებას, ჯანდაცვას და ასე შემდეგ.

ასე რომ, ალასანიასზე ახალი არაფერი შეგვიტყვია. ვიცით მხოლოდ ის, რომ გაეროში ყოფილი ელჩი რევოლუციონერი, სპონტანური, ემოციური, ზოგჯერ გაუნონასნობის შემცირებაში დაეხმარება, ამან შეიძლება, დადებითად იმოქმედოს საზოგადოების აზრზე, რომელიც ევროკავშირში დიდი მუსლიმური სახელმწიფოს შესვლას შიშით უყურებს.

მოზომილი და მხოლოდ დაგეგმილი პოლიტიკის გამტარებელი. "ცხელი შოკოლადის" ინტერვიუში ის სააკაშვილს ძალიან ფრთხილად ეხება - ხან აქებს, ხან აკრიტიკებს. მაგრამ ზღვარს არც ერთი მიმართულებით ერთი სანტიმეტრითაც კი არ აბიჯებს.

ქართულ საზოგადოებაში მის მიმართ მოლოდინი, ალბათ, აშკარად გადაჭარბებული, მაგრამ სრულიად გასაგები და ასახსნელია. უკვე მერამდენედ მარგინალიზებული ოპოზიციის ფონზე ახალი ადამიანის გამოჩენა, რომელიც ეპატაჟის

წყურვილსა და რადიკალიზმის ტყვეობაში არ არის მოქცეული, თავისთავად პოზიტიური მოვლენაა. კარგია, თუ ალასანია მოლოდინის რაღაც ნაწილს მაინც გაამართლებს და სოლიდურ პოლიტიკურ ოპონენტად ჩამოყალიბდება. ეს კი გაცილებით უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და ამის მაგალითი, თუნდაც სალომე ზურაბიშვილის სახით, უკვე არსებობს. პოლიტიკოსობა ძალიან განსხვავდება ჩინოვიციკობისაგან, მით უმეტეს დიპლომატიური ჩინოვიციკობისგან. ის უზარმაზარ ენერჯის,

კარდაკარ სიარულს, გუნდის მართვას, პარტიული სტრუქტურის ჩამოყალიბებას და აუცილებელ ქარიზმას მოითხოვს - აქვს თუ არა ეს თვისებები ირაკლი ალასანიას, ძალიან მალე გამოჩნდება.

საინტერესოა ისიც, თუ რამდენად მოერგება ბოლომდე ალასანიას პოლიტიკური ტემპერამენტი ქართველი ამომრჩევლის მოთხოვნებს, რომელიც აქამდე უპირატესობას ემოციურ და რადიკალ პოლიტიკოსებს ანიჭებდა. თუნდაც გასულ წელს, ოპოზიციის ყველაზე პოპულარული ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე იყო, მასზე გაცილებით უფრო მძიმე პოლიტიკური წონის დათო უსუფაშვილმა კი, რომელიც ოპოზიციური სპექტრში ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალურ და მოზომილ პოლიტიკოსად ითვლება, სამ პროცენტზე მეტის მოტანა ვერ შეძლო საკუთარი პარტიისთვის.

თუ თავისი ზომიერებით ალასანიამ პოპულარობა მაინც შეინარჩუნა, მას ძალიან დიდი ენერჯის ჩადება სხვა მიმართულებით მოუწევს - ხელისუფლებას თანმიმდევრული და სერიოზული ოპონირება უნდა გაუწიოს ყველა სფეროში და ხალხს რეალური ალტერნატივის განცდა გაუჩინოს.

ოპოზიციასთან ურთიერთობის ასეთი რეჟიმი კი მედიისა და ოპოზიციისგან მოდუნებულ ხელისუფლებას მხოლოდ წაადგება. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, პრეზიდენტის ადმინისტრაციას უფრო ეფექტური ფორმების მოძებნა მოუწევს საზოგადოებამდე თავისი სათქმელის მისატანად, ვიდრე პუტინისგან სრულიად დისკრედიტირებული სახალხო ინტერვიუა.

თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ საუკეთესო შემთხვევაში მოხდება, რომლის ალბათობაც, სამწუხაროდ, არც ისე დიდია.

ბუდაპეშტში "ნაბუკოს" ბედი წყდება

პირველი გვარდიანა

მით უმეტეს, დღეს - გლობალურ ეკონომიკურ კრიზისის პირობებში.

თუმცა, რუსეთ-უკრაინის გაზის ომის შემდეგ ეს პროექტი აქტუალობის პიკს აღწევს. გასული კვირა ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. გასულ სამშაბათს ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ განაცხადა, რომ "თურქეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის მიღწეულია შეთანხმება ახალი გაზსადენის მშენებლობაზე, რომლითაც გაზი ევროპას შუა აზიიდან მიეწოდება."

ეს განცხადება ბაროზომ ბრიუსელში, თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯებ ერდოღანთან მოლაპარაკებების შემდეგ გააკეთა. "ბი-ბი-სის" ინფორმაციით, ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთმა გაზსადენი "ნაბუკოს" პროექტი მოინონა და ენერჯის მინორიტეტის გამოყენებას იარაღის სახით არ აპირებს.

19 იანვარს, ამ შეხვედრამდე, თურქეთის პრემიერმა განაცხადა, რომ თურქეთის მონაწილეობა პროექტში შეიძლება გადაიხედოს, თუ კვიპროსი თურქეთის ევროკავშირში შესვლის წინააღმდეგ გამოსვლას გა-

აგრძელებს.

ბაროზუს თქმით, ამ ორი საკითხის ერთმანეთთან დაკავშირება აუცილებელი არ არის. მისი ვარაუდით, თუ თურქეთი ევროპას გაზის მინორიტეტის დივერსიფიცირებასა და რუსულ სანაგვეზე დამოკიდებულების შემცირებაში დაეხმარება, ამან შეიძლება, დადებითად იმოქმედოს საზოგადოების აზრზე, რომელიც ევროკავშირში დიდი მუსლიმური სახელმწიფოს შესვლას შიშით უყურებს.

ამ ფონზე საინტერესოა რუსეთის პოზიცია. რუსეთის პრემიერმა პუტინმა ჯერ კიდევ მინანარს, რუსეთ-უკრაინის გაზის ომის პერიოდში განაცხადა, რომ: "ჩვენ არ შევდივართ 'ნაბუკოს' განმარტოვებულ რიცხვში, თუმცა ჩვენ არ შევუშლით ხელს ამ პროექტს. თუკი არის საკმარისი რესურსები და შესაბამისი შეთანხმებები, ჩვენ პრობლემა არ გვაქვს" - განაცხადა პუტინმა.

გასულ კვირას კი, თურქეთ-ევროკავშირის შეთანხმების შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კიდევ ერთხელ განმარტა რუსული პოზიცია: "თუკი ამ გაზსადენის შესავსებად საკმარისი ბუნებრივი აირი იარსებებს, ჩვენ 'ნაბუკოს' განხორციე-

ლების წინააღმდეგნი სულაც არ ვართ" - განაცხადა მან.

რესურსების სიმცირეზე, ანუ ბუნებრივი აირის არასაკმარისობაზე გაკეთებული მინიშნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია "ნაბუკოს" პროექტის წინააღმდეგობის იდენტიფიცირებისთვის. ენერჯეტის საკითხებში ექსპერტ ელენე ჯერვალდის განცხადებით, "ნაბუკოს" პროექტის განხორციელების გზაზე კიდევ, მინიმუმ, ორი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა საჭირო: პირველი, ეს კასპის ქვეყნების შორის კასპის შეღვის გადანაწილების შესახებ მისაღები გადაწყვეტილებაა, მეორე კი - გასარკვევია, თუ რომელი გაზსადენის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას აზერბაიჯანის სახელმწიფო - ანუ რომელი მიმართულებით გაუშვებს სახელმწიფოს წილს ბუნებრივი აირის მარაგებში - ჩრდილოეთის ანუ რუსეთის თუ ევროპის გაზსადენის.

ცნობისათვის - "გაზპრომმა" უკვე შესთავაზა აზერბაიჯანს, მთლიანად შეისყიდოს მისი ბუნებრივი აირი მაქსიმალურ ფასად.

აქედან გამომდინარე, საკმაოდ საინტერესო იყო აზერბაიჯანის პრეზიდენტის გუშინდელი განცხადება იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანი

პროექტში მონაწილეობისთვის მზადაა, თუმცა ამისთვის ევროპაში მისაღებია პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

უფრო კონკრეტული იყო ამ საკითხის კომენტარებისას აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილე ვალენტ ალესკეროვი, რომლის განცხადებაც გუშინ გაზეთმა "ზურკალომ" გაავრცელა. გაზეთის ინფორმაციით, ალესკეროვმა ბუდაპეშტის სამიტის გახსნის წინ ევროპას "საუბრიდან საქმეზე გადასვლა" შესთავაზა. "აზერბაიჯანი, როგორც მომპოვებელი და ტრანზიტორი ქვეყანა, მზად არის თანამშრომლობისთვის, თუ ევროპა მზად იქნება გადაუხადოს აზერბაიჯანს და თურქმენეთს მეტი, ვიდრე ამას რუსეთი ან ჩინეთი აკეთებენ. ასეთ შემთხვევაში მიწოდების პრობლემა არ იქნება," - განაცხადა მილი-მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილემ.

თურქეთთან და აზერბაიჯანთან ერთად პროექტით დაინტერესება უკვე დააფიქსირა თეირანმაც.

თბილისისთვის კი აღნიშნული პროექტი საინტერესოა, როგორც ტრანზიტორი ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიაზეც ევროპული გაზის გავლის მასშტაბთან ერთად იზრდე-

ბა მისი ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხი და პოლიტიკური წონაც. შესაბამისად, თბილისის ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახაა და სრულიად გამოკვეთილი.

ბუდაპეშტში კი ამ თემაზე გუშინ ჯერჯერობით მხოლოდ ოფიციალური სადღის ფორმატში ისაუბრეს. ქართული დელეგაცია ასევე შეხვდა ჩეხეთის ანუ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენლებს. სამიტის ოფიციალური შეხვედრები ხვალ გაიმართება.

წინასწარი ინფორმაციით, სამიტი მიიღებს დეკლარაციას, რომელიც ნაბუკოს პროექტის განხორციელებით ქვეყნების დაინტერესებას დაადასტურებს. ამის შესახებ განმარტება გუშინ ბუდაპეშტში ქართველ ჟურნალისტებს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ხელმძღვანელმა ნატიკ ალიევმა მისცა. უცხოური მედია-საშუალებები კი ბუდაპეშტის სამიტის მიმართ საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. მათი ინფორმაციით, გაზსადენის პროექტზე ტენდითი, სავარაუდოდ, 2009 წლის ბოლოს ან 2010 წლის დასაწყისში გამოცხადდება. ამ, ოპტიმისტური პროგნოზით, ევროპამ ნაბუკოს გაზსადენით ბუნებრივი აირი 2014 წლისთვის უნდა მიიღოს.

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "მეკ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა მუხამაძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შაჰალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კლასონია (რეგიონი), კახა ფარუშაშვილი (სპორტი). რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მზადება სერიოზული დაბატახისთვის

გუშინ სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის სხდომა გაიხსნა, რომელიც 30 იანვრამდე გაგრძელდება. სხდომის მთავარი საკითხი საქართველო-რუსეთის ურთიერთობა იქნება. ევროსაბჭოს პარლამენტი შეიფასებს, თუ როგორ შეასრულეს მხარეებმა 2008 წლის ოქტომბერში მიღებული რეზოლუცია. შეხვედრაზე ასევე იგეგმება ახალი რეზოლუციის მიღებაც, სადაც ასახული იქნება პირველი რეზოლუციის შესრულების შედეგები.

ზამთრის სესიაზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 2008 წლის ოქტომბრის რეზოლუციის შესრულების საკითხს განიხილავს. ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მომზადებულია რეზოლუციის პროექტი, რომელშიც დღეს ყველა ქვეყნის პარლამენტარებს შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა შეეძლება.

რეზოლუციის შესრულების მონიტორინგის მიზნით, ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტი ცოტა ხნის წინ როგორც რუსეთის ფედერაციას, ასევე საქართველოს ეწვია და შესაბამისი დასკვნაც მოამზადა.

წინასწარი ინფორმაციით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ახალ დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერას კიდევ ერთხელ გამოხატავს.

"ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა კიდევ ერთხელ უცხადებს სრულ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და მისი საზღვრების ურღვევობას," - აღნიშნულია ასამბლეის რეზოლუციის პროექტში.

"ამ კონტექსტში სამწუხაროა, რომ რუსეთის პარლამენტის ორივე პალატამ რუსეთსა და ამ ორ რეგიონს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირებას დაუჭირა მხარი, რომელიც 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების უმაღლესი პრინციპების დარღვევით ერთსულვნად გაფორმდა," - ნათქვამია დოკუმენტში.

ამასთან, რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია, რომ **"ასამბლეა მიესალმება ქართული ხელისუფლების მიერ ასამბლეის მოთხოვნების შესრულებისთვის კონსტრუქციული გზებისა და პოლიტიკური ნების ქონას და თვლის, რომ საქართველომ**

ველომ ოქტომბრის რეზოლუციის მოთხოვნათა უმრავლესობა შეასრულა, თუმცა არა ყველა," - ამის შესახებ საუბარია რეზოლუციის პროექტში, რომელიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე თანამომხსენებლებმა "საქართველო-რუსეთის ომის შედეგების შესახებ" მოამზადეს.

ამის პარალელულად რეზოლუციაში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთს ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ოქტომბრის რეზოლუციის შეუსრულებლობაში ადანაშაულებს.

"რუსეთმა ამ დრომდე ოქტომბრის რეზოლუციის მოთხოვნების დიდი უმრავლესობა არ შეასრულა. რუსულმა მხარემ უყოყმანოდ უნდა შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების ყველა პუნქტი, ასევე უყოყმანოდ უნდა დაუშვას საერთაშორისო დამკვირვებლები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე," - აღნიშნულია ასამბლეის რეზოლუციის პროექტში.

"ასამბლეა მოწოდებით მიმართავს რუსეთს, ყოველგვარი მომავალი გაჭიანურების გარეშე, უყოყმანოდ დაუშვას საერთაშორისო დამკვირვებლები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და განსაკუთრებით გადაჭრას ეუთო-ს დამკვირვებლების სამხრეთ ოსეთში, ევროკავშირისა კი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შეშვების საკითხი," - ნათქვამია რეზოლუციის პროექტში, სადაც ასევე აღნიშნულია: **"ასამბლეა მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებს, რომელიც ნებისმიერი კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთი შესაძლებლობაა."**

ქართული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც არიან პეტრე ცისკარიშვილი, გოკა გაბაშვილი, აკაკი მინაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი თარგამაძე, დავით დარჩიაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გიორგი კანდელაკი და მაგდა ანიკაშვილი, მიიჩნევენ, რომ ევროსაბჭომ რუსეთს რეზოლუციით დაკისრებული რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო უმკაცრესი შეფასება უნდა მისცეს, ამიტომ ქართული მხარე ევროსაბჭოში სერიოზული დებატებისთვის ემზადება.

თავის მხრივ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე რუსეთი კვლავ საქართველოს დანაშაულებას აპირებს.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის სესიაზე, ცხინვალის რეგიონში

რუსულ-ქართული ომის საკითხის განხილვისას, საპარლამენტო ასამბლეის რამდენიმე რადიკალურად განწყობილი დეპუტატი რუსეთისთვის ხმის ჩამორთმევასაც კი ითხოვდა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსული დელეგაციის ხელმძღვანელისა და სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე კოსაჩოვის განცხადებით: **"გასული წლის ოქტომბერში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ არასწორი დიაგნოზი დასვა, წამლებიც არასწორად იქნა გამოწერილი, რუსეთი კი არარსებული ავადმყოფობის სამკურნალოდ ამ წამლების დაღვევას არ აპირებს. ოქტომბრის რეზოლუციაში ავჯისტოს მოვლენები ომად არის შეფასებული, რაც პრინციპული შეცდომაა. ეს არა რუსეთ-საქართველოს ომი, არამედ საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტია,"** - განაცხადა კოსაჩოვმა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეთა ინფორმაციით, რეზოლუციის განხილვასთან დაკავშირებით ფართომასშტაბიანი დისკუსიები 28 იანვარს გაიმართება, როდესაც ასამბლეა კონფლიქტის მონაწილე მხარეებისგან რეზოლუციის შესრულების შესახებ მოხსენებას და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ომის შემდეგ ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებით არსებულ ინფორმაციას მოისმენს.

28 იანვრის დღის სხდომის დასრულების შემდეგ ასამბლეა სავარაუდოდ, საქართველოსა და რუსეთისთვის კონფლიქტის დარეგულირების შესახებ რეკომენდაციებსა და ახალ რეზოლუციას მიიღებს.

რა შედეგებით დასრულდება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესია, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. ყოველ შემთხვევაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დარწმუნებულია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთისთვის არცთუ რბილ რეზოლუციას მიიღებს.

"იქნება თუ არა ევროსაბჭო რუსეთის მიმართ მკაცრი, ამის პროგნოზირება რთულია, რადგან ყველაფერი ხმების გადანაწილებაზე დამოკიდებულია, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ რეზოლუცია არც ისეთი რბილი იქნება, როგორც რუსეთს ჰგონია," - განაცხადა ვაშაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

საკუთარი ინფორმაცია

ეუთო: უფროხილდით მას, ვინც ზოლოს იცინის

პირველი გვერდიდან



ეუთო-ს ვენის 1999 წლის დოკუმენტისადმი რუსეთის ირონია იგრძნობა, როცა ოფიციალური მოსკოვი საქართველოში ეუთო-ს მისიის წინააღმდეგ ილაშქრებს. ასეთი შეუთავსებლობა კი მხოლოდ ხმამაღალ სიცილს იწვევს.

ზოგს შეიძლება გაახსენდეს ასევე ისიც, თუ როგორ გააუქმა 2005 წელს რუსეთმა ეუთო-ს ლიბერული სასაზღვრო მონიტორინგის ოპერაცია და გააგრძელა ჩივილი საქართველოსთან საზღვარზე შექმნილ პრობლემებზე.

ასევე დაბალი წარმოდგენა აქვს მოსკოვს ეუთო-ს დემოკრატიზაციის მცდელობებზე, რასაც ადასტურებს 2007 წლის დეკემბერში რუსეთიდან ეუთო-ს დემოკრატიული და ადამიანის უფლებების ინსტიტუტებისა და საარჩევნო დამკვირვებლების გაძევება საპარლამენტო, ხოლო 2008 წლის აპრილში - საპრეზიდენტო არჩევნების დროს. რუსეთის "სუვერენული დემოკრატია" არ საჭიროებს ასეთი ყურადღებით დაკვირვებას.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ეუთო-ს ახალი თავმჯდომარის დორა ბაკოიანისის მოწოდების საპასუხოდ, მეტი ერთგულება გამოეჩინა ეუთო-ს პრინციპებისადმი, ეუთო-ში რუსეთის ელჩმა ანვარ აზიმოვმა განაცხადა, რომ ორგანიზაციის "კანონიერება" უფრო ეფექტურად უნდა იყოს წარმოდგენილი. ეუთო-ს საარჩევნო დამკვირვებლების კონტროლი უფრო მეტად უნდა იყოს განთავსებული. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ეუთო-ს ბიუროკრატია უფრო მოქნილად უნდა მოეკიდოს ოფიციალური მოსკოვის ვეტოს.

სამწუხაროდ, მაშინ, როცა ბაკოიანისმა აღნიშნა, რომ "პატიოსანი და ჭეშმარიტი დიალოგი ჩვენთვის ნდობის გამყარების უმთავრეს საზომად რჩება", რუსული ტანკები ქართულ ტერიტორიებზე - აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ახალგორის რაიონსა და სოფელ პერევეში თავისუფლად დასაქმნობდნენ.

გარდა ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების ფორმა ცხადყოფდა, რომ "არავითარი გარანტია და წინაპირობა არ არსებობს იმისთვის, რომ რუსეთის ფედერაცია მომავალშიც არ ეცდებოდეს აგრესიული ქმედებების განხორციელებას და შეფასებისა და დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას არ გამოიყენებს საქართველოს ნაციონალური უსაფრთხოების საზიანოდ."

ზუსტადაც რომ პირიქით, რუსეთის უწყვეტი აგრესიულობა იძლევა იმის გარანტიას, რომ ჯაშუშობის მიზანია, სულ მცირე, საქართველოს სამხედრო აღჭურვილობის შეთვალეობა.

მოსკოვს ასევე ორი უფრო შორს მიმავალი მიზანი აქვს ეუთო-სთან მიმართებაში. პირველი - მას სურს, ალკეეთის ნებისმიერი ეფექტიანი დაკვირვება ქართულ ტერიტორიაზე თავის მხარდ სამხედრო მასშტაბებსა თუ სოხუმსა და ცხინვალში ფრიად საეჭვო რეჟიმების ქმედებებზე. მეორე - მას სურს, გამოსტყუოს დასავლეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად დე ფაქტო ან დე იურე აღიარება.

"ჩვენი შეფასებით, ბერძნული მხარის წინადადებები ამჯერად უკვე სწორი მიმართულებას იღებს იმ დე ფაქტო თუ დე იურე ვითარებების გაერთაღვისწინებით, რაც ჩამოყალიბდა," - აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 21 იანვარს, ბაკოიანისთან მოსკოვში შეხვედრის შემდეგ.

დღემდე დასავლეთის ქვეყნები ეუთო-ს მისიისთვის მანდატის 1 იანვრამდე გახანგრძლივებით თავს არიდებდნენ ლავროვის დიპლომატიურ ხაფანგს. თუმცა, დასავლეთმა არ უნდა თქვას უარი თავის პრინციპებზე, მაშინ, როცა 18 თებერვალს საქართველოში ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლების მანდატის ამონურვის ვადა მოახლოვდება.

სამწუხაროდ, ბაკოიანისის მიერ მოსკოვში გამოთქმული შენიშვნები ზუსტად ამაზე მიუთითებს. "თქვენ არ შეგიძლიათ, ელოდოთ იმას, რომ ქვეყანა შეცვლის თავის ძირითად პოზიციას, მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ გამოსავლის მოძებნას ჩვენს მისიასთან დაკავშირებით. ეს კიდევ სხვა რამ არის და შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება." შესაძლოა.

თუკი ეუთო-ს მანდატის განახლების ფასი ნელ-ნელა უახლოვდება რუსეთის აგრესიის შედეგების აღიარებას ან პრობლემებს უქმნის დამკვირვებლების მუშაობას, დასავლეთმა რუსეთს უნდა დაუთმოს.

"ეუთო-ს შემოქმედებითი და მოქნილი გადაწყვეტილებების მიღების ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, მაგრამ ამან შეიძლება იმუშაოს მხოლოდ კეთილი ნების არსებობისა და ყველა მხარის მიერ გამოჩენილი პოლიტიკური სიმამაცის პირობებში," - განაცხადა ბაკოიანისმა 15 იანვრის მიმართებაში.

რუსეთს კეთილი ნება რომ გამოეჩინა, ხოლო დასავლეთს - მეტი სიმამაცე, არც რუსული ტანკები გამოჩნდებოდნენ საქართველოში. ფრთხილად, მოსკოვმა ბოლომდე არ უნდა გაიცინოს!

დევიდ ჯ. სმიტი არის საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი

სიკორსკი: "ნატო-მ უნდა დაიცვას ბუქარესტის დაპირება"

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რადეკს სიკორსკი, რომელიც მთავარი პრეტენდენტია ჩრდილოატლანტიკული ალიანსის გენერალური მდივნის თანამდებობაზე, ბრიტანულ "დეილი ტელეგრაფთან" საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის ალიანსის წევრობა "საკმაოდ შორეული პერსპექტივაა". თუმცა ამავე დროს სიკორსკი აღნიშნავს, რომ "რუსეთი, რომელიც ალიანსის გაფართოებისათვის ხელს შეშლას მცდელობებს არ აკლებს, ამ საკითხში გა-

მარჯვებული ნამდვილად არ არის."

"უკრაინასა და საქართველოს ბუქარესტში გამართულ სამიტზე ალიანსის წევრობას დაჰპირდნენ, მაგრამ ამისათვის არაფერი გაკეთებულა, ოთხი თვის შემდეგ კი რუსეთი საქართველოში შეიჭრა," - აცხადებს სიკორსკი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე აცხადებს, რომ "ნატო-მ უნდა დაიცვას ბუქარესტის დაპირება ალიანსის შესაძლო წევრობის შესახებ".

"თუმცა, ამაყმად არის მომენტი

და სურვილი, ორივე ამ ქვეყანას ბიძგი მიეცეთ იმისათვის, რომ მათ დამოუკიდებლად ჩატარონ რეფორმები. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩვენი ინსტიტუტი, ისეთი როგორცაა ევროკავშირი და ნატო, გაფართოებისგან დაღლილობის სენით არიან შეპყრობილი," - აცხადებს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ "ეს გაფართოებისგან დაღლილობის სენი რუსეთის გამარჯვებას არ ნიშნავს."

ჯი-იჩი-ენი

კონტროლი სამშენებლო კომპანიებზე

სამშენებლო კომპანიებს ე.წ. K3 კოეფიციენტის შესრულებაზე კანონით ვადავალისწინებული კონტროლი გაუძლიერდება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი საბჭომ, რომელიც გარემოს დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა, პირველივე სხდომაზე პირველი რეკომენდაცია შეიმუშავა.

საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის, სამშენებლო კომპანია "არსის" გენერალური დირექტორის ირაკლი როსტომაშვილის განცხადებით, "სამშენებლო კომპანიების უმეტესობა არ ასრულებს კანონით ვადავალისწინებულ მოთხოვნას, რომელიც მშენებარე ობიექტის გამწვანებას გულისხმობს. კერძოდ, სამშენებლო ნებართვის მიღებისას არსებობს სამი კოეფიციენტი: K1, K2 და K3. კომპანიების მიერ მხოლოდ ორი მათგანის შესრულება ხდება, თუმცა მშენებლობის დასრულებისას, ისინი მაინც იღებენ ექსპლუატაციაში შესვლის ნებართვას. კოეფიციენტი K3 ითვალისწინებს მშენებარე ობიექტის 10 პროცენტთან გამწვანებას სხვადასხვა ნარგავებით, რაც ქვლაქში არსებულ მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობას მკვეთრად გააუწვავს."

თბილისში მიმდინარე მშენებლობების მიხედვით, ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, წელიწადში 1 მილიონი კვ.მ. ტერიტორიის გამწვანება მოხდებოდა, - აცხადებს როსტომაშვილი.

შენობის ექსპლუატაციაში შესვლამდე და შესაბამისი დოკუმენტის გაცემამდე აუცილებელი შემოწმებული იქნას, მშენებლის მიერ შესრულებულია თუ არა აღნიშნული ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მშენებლობა ექსპლუატაციაში არ უნდა შედიოდეს. გამწვანებაზე დანახარჯი ბიზნის ფასს არ გააძვირებს, ვინაიდან 1 კვ.მ ფართის გამწვანება დაახლოებით 25 დოლარი ჯდება, ეს კი საცხოვრებელი ბინის სამშენებლო ფართის 1 კვ.მ-ს ღირებულებას მხოლოდ 1 დოლარით გაზრდის.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გოგა ხაჩიძის განცხადებით, როგორც სამინისტრო, ასევე საბჭო, ეცდებიან, რომ ამ მხრივ კონტროლი გამკაცრდეს და კანონის ეს ნორმა შესრულდეს. 24 საათი

ფილარმონიის გახსნა სექტემბრამდე გადაიდო

სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის, ფილარმონიის გახსნა 2009 წლის სექტემბრამდე გადაიდო. იგი 2009 წლის დასაწყისში უნდა გახსნილიყო, თუმცა კომპანია international event-მა ეკონომიკის სამინისტროს თხოვნით მიმართა, გახსნის თარიღი გადაედო.

როგორც ეკონომიკის სამინისტროდან იუწყებიან, საქართველოსა და მსოფლიოში შექმნილი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, მათ ეს თხოვნა დააკმაყოფილეს. ის, რომ ფილარმონია სექტემბერ-ოქტომბერში გაიხსნება, საკონცერტო დარბაზის დირექტორმა გია კერესელიძემაც დაადასტურა.

კერესელიძის თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომმა სარემონტო სამუშაოების განხორციელების საქმეში სერიოზული კორექტივი შეიტანა. გერმანული კომპანია, რომელსაც მთავარი სასცენო მექანიზმები უნდა დაემონტაჟებინა, საქართველოში აგვისტოში უნდა ჩამოსულიყო, თუმცა, ომის გამო, ეს ვერ მოხერხდა. ამ სამუშაოების წარმოება მილიონი დოლარი ჯდება. მთლიანად ფილარმონიის განახლებაში კი 9 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება. იქონიებს თუ არა ეს გავლენას სამომავლოდ იჯარის ქირასა და შესაბამისად ბილეთის ფასზე, ამ კითხვაზე გიორგი კერესელიძე განმარტავს, რომ განეული სამუშაოების გათვალისწინებით, ეს არ არის გამორიცხული. თუმცა იჯარის ღირებულება ჯერჯერობით დადგენილი არ არის. თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი, მართვის უფლებით, 49 წლის ვადით, კომპანია international event-ს აქვს გადაცემული. 24 საათი

"კონსერვატული" ღვინო

მევენახეობის და მეღვინეობის განვითარება "კონსერვატული" პარტიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

კონსერვატული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა: "სახელმწიფო გლეხებს ფულს საქართველოს სიმბოლოს - ვაზის აჩეხავს უხდის."

მისივე თქმით, "კონსერვატორები" იმ ტერიტორიაზე, სადაც მთავრობას აყოლილმა გლეხებმა ვაზი აჩეხეს, ახალ ვაზს ჩაყრიან. კონსერვატულმა პარტიამ უკვე ჩამოახსნა ღვინო "კონსერვატორები", რომელიც ღვინის პოპულარიზაციას მოემსახურება და საჩუქრად უცხოელ სტუმრებს და სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებს გადაეცემა.

"ვაზის აჩეხვის საქმეში ჩართული არიან მინისტრები, გამგებლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, თუმცა "კონსერვატული პარტია" ყველაფერს გააკეთებს, რათა ხელისუფლებას არ მიეცეს საშუალება, ანტიქართული მოღვაწეობით ქვეყანას სიმბოლოები დაუკარგოს." - განაცხადა ძიძიგურმა. კონსერვატიული პარტია "პარტიული" ღვინის დეგუსტაციას უახლოეს მომავალში გეგმავს. 24 საათი

პრეზენტაციები თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგამოცდო სესიასთან ერთად მედიაგამოცემების პრეზენტაციების სეზონიც დაიწყო. ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა სტუდენტურ გაზეთ "პრეს ფორუმის" პრეზენტაცია გამართეს. მომავალმა ჟურნალისტებმა დამსწრე აუდიტორიას გაზეთის კონცეფცია და სამომავლო გეგმები გააცნეს. უნივერსიტეტში გაზეთის გარდა ტელევიზიულ ტიპის პრეზენტაცია-გაზეთის მოწყობა. მომავალ შაბათს იგეგმება კიდევ ორი სტუდენტური გაზეთის "კომპასის" და "იმპულსის" პრეზენტაციები.

"სეზონი" კი სტუდენტურმა ჟურნალმა "რაკურსმა" გახსნა. მისი პრეზენტაცია გასულ შაბათს გაიმართა.

ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სტუდენტებმა 30 წლის შემდეგ პირველად გამოსცეს. 24 საათი

საბარეო საქმეთა სამინისტრო ყველა "კარტს ხსნის"

გიორგი ასანიშვილი

გრიგოლ ვაშაძე დიპლომატიურ უწყებას კიდევ უფრო "ტრანსფარენტულს" ხდის - მინისტრის გადაწყვეტილებით, საგარეო საქმეთა სამინისტროში ყოველ ორშაბათს გაიმართება ბრიფინგი, რომელზეც გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენები განიხილება, აგრეთვე გავრცელდება ინფორმაცია მიმდინარე კვირაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ბრიფინგებს გაუძღვება საგარეო საქმეთა მინისტრი, ცალკეულ შემთხვევებში - მინისტრის მოადგილე ან რომელიმე დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

პირველი "ორშაბათობა" საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ ჩატარდა, რომელზეც გრიგოლ ვაშაძემ, ბრიფინგის "რეგლამენტის" მიხედვით, გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენები შეაფასა. "საანგარიშო პერიოდის" მიმოხილვისას საგარეო საქმეთა მინისტრმა ყურადღება გაამახვილა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმ განცხადებაზე, რომელიც ტერმინ "ავისტოს მოვლენების" გამოყენების მიზანშეუწონლობას შეეხება.

"რაც საქართველომ ავისტოში გადაიტანა, ამიერიდან ჩვენ მას "რუსულ-ქართული ომი" უნდა ვუწოდოთ," - პრეზიდენტის წინადადებას სრულად იზიარებს გრიგოლ ვაშაძე. მისივე შეფასებით, გასული კვირას მეტად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ოფიციალურმა თბილისმა უარი უთხრა რუსეთს საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილ ობიექტებზე შეფასებითი ვიზიტისა და ინსპექციის განხორციელებაზე.

გუშინ მინისტრი იმ კიდევ ერთ პრიორიტეტულ მიმართუ-

ლებას შეეხო, რომელზეც დიპლომატიური უწყება გულმოდგინედ მუშაობს: ვაშაძის თქმით, ქართული მხარე ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციების ყოფნა შეინარჩუნოს - იქნება ეს ეუთო, გაერო თუ სხვები.

"რუსეთის მცდელობის მიუხედავად, საბერძნეთი, როგორც ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყანა, აქტიურად იღვწის, რათა ამ ორგანიზაციის მისიამ საქართველოში საქმიანობა გააგრძელოს," - აღნიშნავს ვაშაძე. იგი საბერძნეთის ახალ ინიციატივაზეც საუბრობს და საქართველოში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის საქმიანობის გაგრძელების თაობაზე აცხადებს, რომ თბილისი მზად არის, მხარი დაუჭიროს დრო ბაკოიანისის ახალ სამოქმედო გეგმას, თუ მასში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პროცესები იქნება გათვალისწინებული.

"ეუთო-ს მისიის შენარჩუნებით ქართული მხარე ნამდვილად არის დაინტერესებული, მაგრამ ეს არ მოხდება ყველაფრის ფასად, რადგან არსებობს გარკვეული ნითელი ხაზი, რომელსაც ქვეყანა არ გადაკვეთს," - აზუსტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

რაც შეეხება ევროკავშირის მისიას, გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, გრძელდება მუშაობა საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებლების საქმიანობის გასაგრძელებლად და მათი მოქმედების არეალის გასაფართოვებლად.

გასული კვირის მოვლენებიდან გრიგოლ ვაშაძემ ბენიტი აფერერო ვალდერთან გამართული შეხვედრაც გამოყო და მას "ნაყოფიერი" უწოდა.

რაც შეეხება უახლოეს მომავალში დაგეგმილ ღონისძიე-

ბებს, საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, 28 იანვარს ის პირველი ოფიციალური ვიზიტით საბერძნეთში მიემგზავრება, 4 თებერვალს კი ბრიუსელში გამართულ ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს სხდომას დაესწრება.

გუშინ ბრიუსელში, პირველად ავისტოს ომის შემდეგ, ნატო-სა და რუსეთის დელეგაციების არაფორმალური შეხვედრა გაიმართა. ვაშაძის აზრით, მოულოდნელი და გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი რუსეთთან დიალოგის აღდგენას ცდილობს.

"ორივე მხარემ განაცხადა, რომ ეცდებიან, მუშაობა განაახლონ. ამაში გასაკვირი არაფერია. თუმცა, კონფორმაცია გრძელდება. რუსეთი, ერთი მხრივ, აცხადებს მზადყოფნას, ითანამშრომლოს ალიანსთან, მეორე მხრივ კი, კატეგორიულად ითხოვს, ალიანსის ყოველი ნაბიჯი მასთან იყოს შეთანხმებული, რაც არასდროს მოხდება. მოსკოვი, ვითომ, ალიანსში უფრო მაღალი ხარისხით ინტეგრაციას აპირებს და ამ დროს ცდილობს, მეზობელ ქვეყნებს დემოკრატიული არჩევანის დეკლარაცია გაუცხადოს," - ბრიუსელისა და მოსკოვის ურთიერთობებში დიდ პერსპექტივას ვერ ხედავს ვაშაძე.

სამაგიეროდ, ის გარკვეულ იმედებს ამყარებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე, რომელიც სტარსბურგში გუშინ გაიხსნა.

"საქართველოს დელეგაცია იმ დეპუტატებით არის დაკომპლექტებული, რომლებსაც ევროსაბჭოში მუშაობის გამოცდილება აქვთ. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ეს დელეგაცია ყველა ღონეს იხმარს, რათა კიდევ ერთმა ორგანიზა-

ციამ მიუთითოს რუსეთს მისი ქვეყნის საერთაშორისო სამართალთან შეუსაბამობაზე," - დასძენს დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელი.

ბრიფინგის "პარალელურად", გრიგოლ ვაშაძის უწყებაში გუშინ ოფიციალური განცხადებაც გაკეთდა: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ლავროვის უწყების მიერ "რუსული გაზის საქართველოს გავლით ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის მიწოდების აღდგენის" შესახებ პრესისთვის გაკეთებულ შეტყობინებას გამოეხმაურა და ის "მორიგ ცინიკურ განცხადებად" შეაფასა.

"რუსეთის ფედერაცია ცდილობს, ისე წარმოადგინოს საქმე, თითქოს საქართველო რუსეთის ზეწოლის შედეგად აიძულეს, ცხინვალის რეგიონისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება აღედგინა. ფაქტი კი ასეთია: ჯერ კიდევ 31 დეკემბერს ქართულმა კომპანიამ ცხინვალის რეგიონისთვის გაზის მიწოდების აღდგენა სცადა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მილადენი რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ კონტროლირებდა ტერიტორიაზე იყო დაზიანებული, რაც ეუთო-ს საერთაშორისო დამოუკიდებელ ექსპერტ ვ. იოჰანიდისის მიერ არის დადასტურებული. ამასვე ადასტურებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში მოყვანილი მტკიცება იმის შესახებ, რომ გაზით მომარაგების აღდგენა რუსული კომპანიების "გაზპრომისა" და "იტერას" სპეციალისტების საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომის შედეგად," - ლავროვის უწყებას მის მიერვე მოყვანილი არგუმენტებით ამხელს სიცრუეში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

შეხვედრა "სახალხო ფრონტში"

სახალხო ფრონტის ოფისში ეროვნულ პარტიათა ალიანსის და საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის დარბაზის სხდომა გაიმართა. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ეროვნულ პარტიათა ალიანსის წევრი, "სახალხო პარტიის" ლიდერი მამუკა გიორგაძე, რომელმაც იქ შეკრებილ საზოგადოებას სხდომის დღის წესრიგი გააცნო და შეკრებას "პირწინადად პრაგმატული" უწოდა. ალიანსის მთავარი მიზანი ხელი-სუფლების სანაწარმადეგო კამპანიის დაწყებაა, რითიც ქარ-

თული საზოგადოება უნდა გაემიჯნოს მიხეილ სააკაშვილის "არალეგიტიმურ" ხელისუფლებას. მამუკა გიორგაძის განცხადებით, ის და თავისი პარტია არ ცნობს საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმურობას და მიუხედავად მტკიცებულებების არარსებობისა, მოქმედ მთავრობას რუსეთის აგენტებს უწოდებს. თავის პოზიციას კი შემდეგი არგუმენტებით ამყარებს: ხელისუფლებას დოკუმენტის სახით, არ დაუფიქსირებია, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები იყო რუსეთ-საქართველოს

ომი და არა ეთნიკური კონფლიქტი; არ გაუუქმებიათ რუსებისთვის, ჯერ კიდევ ელვარდ შევარდნაძის დროს ბოქბოლი, სამშვიდობო მანდატი, რითიც რუსებს თავისმართლებისთვის მეტი შანსი დაუტოვეს და მისცეს საშუალება "გაშლილი დროში" საქართველოს წინააღმდეგ ომი გაგრძელებს. შეხვედრაზე აქცენტები, განსაკუთრებულად აქცენტები ხელისუფლების მიერ ეროვნული ცნობიერების ნგრევაზე გაკეთდა.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის

კონკრეტულ სამოქმედო გეგმებს, სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის განცხადებით, ამ ეტაპზე იგეგმება მასობრივი ხელმოწერების შეგროვება, მოთხოვნით - არ მიეცეთ მანდატი არალეგიტიმურ ხელისუფლებას. სამოქმედო გეგმებზე უფრო ვრცელ დოკუმენტს ეროვნულ პარტიათა ალიანსი უახლოეს დღეებში წარადგენს, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ისინი არ შეუერთდებიან გაზაფხულზე დაგეგმილ ოპოზიციის საპროტესტო აქციებს. 24 საათი

ლეიბორისტების პროტესტი

გუშინ, ლეიბორისტულმა პარტიის ოფისში ბრიფინგი გაიმართა. ლეიბორისტმა სოსო შატბერაშვილმა პრეზიდენტს გაახსენა წინასაარჩევნო დაპირებები. მან ყურადღება გაამახვილა სოციალურსა და ჯანდაცვის საკითხებზე. პარტიის გენერალურმა მდივანმა გააპროტესტა, რომ სახელმწიფომ შეწყვიტა გადაუდებელი და პირველადი სამედიცინო მომსახურების და-

ფინანსება. 2009 წლის 6,8 მილიარდიან ბიუჯეტში 42 მილიონი განკუთვნილი იყო სწორედ აღნიშნული სფეროს დასაფინანსებლად. 1 იანვრიდან კი სახელმწიფომ დოტაცია შეუწყვიტა 685 პირველადი ჯანდაცვის ობიექტს, რომელთაგან 280 პოლიკლინიკაა. იქ მომუშავე 20 ათას მედპერსონალს - უმუშევრობა, ობიექტების შენობებს კი გაყიდვა ემუქრებათ. გარდა ამი-

სა, აღნიშნა შატბერაშვილმა, თითქმის ყველა სახის სამედიცინო მომსახურების ფასმა, დაპირებული კლების ნაცვლად, მოიმატა. შატბერაშვილმა მის ხელთ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ შემცირდა ავადყოფთა მიმართვიანობა საავადმყოფოებისადმი, არა იმიტომ, რომ ავადმყოფთა რიცხვმა იკლო, არამედ იმიტომ, რომ ავად-

მყოფებს მკურნალობისთვის საჭირო თანხების მოძიება უჭირთ. აღნიშნულის გაანალიზებით, შატბერაშვილი მივიდა დასკვნამდე, რომ შეიქმნა "გენოციდური" და არა სოციალურ საინტენსივობის მორგებული ბიუჯეტი." ლეიბორისტებს მიაჩნიათ, რომ "ხელისუფლებამ დაპირებები არ შეასრულა და ხალხი დატოვა ღვთისა და ბედის ანაბარა." 24 საათი

აზრთა სხვადასხვაობა საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით

"სტრასბურგში მოქალაქეთა საჩივრების გაგზავნის მიხედვით საქართველო პირველ ადგილზეა. ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველოში პატიმართა 30 პროცენტზე მეტი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და ამის დამტკიცებას სამართლებრივად ცდილობს. როდესაც არსებობს ადგილობრივი რესურსი, ადამიანებს საჩივარი რატომ უნდა შექმნდეთ ევროპის სასამართლოში და, საერთოდ, რატომ უნდა იხილდნენ ადამიანები უკანონოდ სასჯელს?" - ეს მოსაზრება ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ლორთქიფანიძის ეკუთვნის, რომელმაც პარლამენტის ანტიკრიზისულ საბჭოს სპეციალური კომისიის შექმნის მოთხოვნით მიმართა.

თამარ კაციაძე

დეპუტატი სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთა სამართლებრივი განხილვის კომისიის შექმნას ითხოვს. მისი აზრით, სახალხო დამცველის მიერ პარლამენტის სხდომაზე დასახელებული ფაქტები და ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შესული მოქალაქეთა საჩივრები სამართლებრივად პარლამენტის სპეციალურმა კომისიამ უნდა შეისწავლოს და საჭიროების შემთხვევაში ძალაში შესული განაჩენების ხელახალი გადახედვა უნდა მოხდეს.

"სახალხო დამცველის უფლებამოსილებათა ეფექტური და პროდუქტიული განხორციელების მისაღწევად, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სოზარ სუბარმა პარლამენტის სხდომაზე ლიად ითხოვა დახმარება, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ყრუ კედლის" დასანგრევად, რომელიც მის უწყებასა და უზენაეს სასამართლოს შორისაა აღმართული, მიზანშეწონილად მივიჩნევ მივმართო თხოვნით ანტიკრიზისულ საბჭოს სახალხო დამცველთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ანტიკრიზისულ საბჭოსთან არსებულ იურისტთა ჯგუფის, "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით შექმნას სისხლის სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთა სამართლებრივი განხილვის კომისია," - განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ, რომელმაც ამ მოთხოვნით უკვე მიმართა იურიდიული საკითხთა, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებს, ხოლო ანტიკრიზისულ საბჭოს სამსახურებრივი ბარათი გაუგზავნა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმართვის შემდეგ კვირაზე მეტი გავიდა, როგორც დიმიტრი ლორთქიფანიძემ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, მის მოთხოვნას არც საპარლამენტო უმრავლესობიდან და არც სახელისუფლებო ორგანოებიდან დღემდე არაფერს გამოხმაურებია. არადა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კომიტეტში შესული მასალებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ საქართველოს ციხეებში ნამდვილად არიან უკანონო პატიმრები, რომელთა საქმეები აუცილებლად საჭიროებს გადახედვას.

"სახელმწიფოს მხრიდან ნულოვანი ტოლერანტობის ფონზე, ქვეყანაში განხორციელებულმა სისხლის სამართლის მკაცრმა რეპრესიულმა პოლიტიკამ დამნაშავეთა მიმართ შედეგად ის მოგვიტანა, რომ დანაშაულის რეალურად ჩამდენი პირების გვერდით სულ უფრო მატულობს ვადიანი თავისუფლების აღკვეთით უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენით მსჯავრდებულთა რიცხვი, რაც საზოგადოებაში კიდევ უფრო აღრმავებს უნდობლობას ყველა სახე-

ლისუფლებო შტოს მიმართ," - ამბობს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

საქართველოს კანონმდებლობით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ხელახალი გადახედვა მხოლოდ "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონით" არის შესაძლებელი. 21-ე მუხლის ე პუნქტით სახალხო დამცველს, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით, შეუძლია, სასამართლოს მიმართოს რეკომენდაციით კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვის თაობაზე.

საქართველოს სამართალწარმოების ისტორიაში არსებობს ფაქტი, როდესაც სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე უაზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ხელახლა განიხილა და დავა პატიმრის სასარგებლოდ გადაწყვიტა. იმ დროს სახალხო დამცველი დავით სარალიძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კი მინდია უგრეხელიძე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგაც არსებობდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც ომბუდსმენი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვას ითხოვდა, ასეთი პრეცედენტი უზენაეს სასამართლოში აღარ შექმნილა.

სახალხო დამცველ სოზარ სუბარის მტკიცებით, მანაც რამდენჯერმე მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კონკრეტული საქმეების გადახედვის რეკომენდაციით, თუმცა ყველა საქმეზე წერილობითი უარი მიიღო. მოსამართლეები ომბუდსმენის რეკომენდაციაზე უარის თქმას ასაბუთებენ იმით, რომ საპროცესო კოდექსში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვის ნორმა კონკრეტულად არ არის ჩადებული. არადა, როგორც სოზარ სუბარი აცხადებს, "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი" სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე ზემდგომია და მოსამართლეები ვალდებული არიან, რომ უპირატესობა სწორედ მას მიანიჭონ.

სასამართლოში უშედეგოდ გაგზავნილი ათამდე რეკომენდაციის შემდეგ, სახალხო დამცველს ამ მოთხოვნით ქართული მართლმსაჯულებისთვის აღარ მიუმართავს. სამაგიეროდ, სოზარ სუბარმა პარლამენტის სხდომაზე ლიად ითხოვა დახმარება **"იმ ყრუ კედლის დასანგრევად, რომელიც აღმართულია სახალხო დამცველსა და უზენაეს სასამართლოს შორის."**

სახალხო დამცველმა ანალოგიური თხოვნით საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს სამი წლის წინათაც მიმართა. სუბარი დეპუტატებისგან ითხოვდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი მექანიზმის ჩადებას, რის შემდეგაც საბოლოო განაჩენის გადახედვა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ მიზნის მიღწევა ვერც მაშინ შეძლო.

"მიუხედავად ჩემი არაერთი მცდელობისა, მიმელწია კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვისთვის, დღემდე ამის გაკე-



დიმიტრი ლორთქიფანიძე



სოზარ სუბარი



პავლე კვლავილი

თება ვერ შევძელით. პარლამენტში ჩემი მოხსენების შემდეგაც სხვადასხვა არასამთავრობოების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ადვოკატები და იურისტები კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ სახალხო დამცველის ოფისში და კი-

დევ ერთხელ მივიღეთ გადაწყვეტილება, მივმართო უზენაეს სასამართლოს რამდენიმე საქმის გადახედვის რეკომენდაციით, მათ შორის იქნება ვაზაგაშვილის საქმე. სხვათა შორის, ამ შეხვედრას ესწრებოდნენ მოსამართლეებიც,

რომლებსაც შეეხსენეთ, რომ საპროცესო კოდექსზე მალაღია "სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი," რაც სადავო არ გამხდარა. როგორც ჩანს, ამის შეხსენება უზენაესი სასამართლოსთვისაც მოგვიწევს," - ამბობს სოზარ სუბარი, რომელიც მიესალმება დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძის ინიციატივას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ წელს სწორედ ანალოგიური მოთხოვნით ადვოკატმა მალხაზ ჯანგირაშვილმა პროტესტის უკიდურეს ფორმას - შიმშილობას მიმართა. იმ დროს, ადამიანის უფლებების დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა ადვოკატებმა კონსტიტუციის მოთხოვნის თანახმად, საკანონმდებლო ცვლილებისთვის საჭირო საქართველოს მოქალაქის 40 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს და ინიციატივა - კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადახედვის შესახებ - პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში შეიტანეს. იმავე მოთხოვნით საკანონმდებლო ინიციატივა მაშინდელი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმაც დააყენეს, თუმცა დღემდე არც ერთ ინიციატივაზე რეაგირება არ მომხდარა. რაც, როგორც ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი განმარტავს, კონსტიტუციის მოთხოვნის უფლებებელყოფას ნიშნავს.

მიუხედავად ამისა, კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადახედვის აუცილებლობას ვერ ხედავს პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კვლავილი. მისი აზრით, მართლმსაჯულების სამი ინსტანციის მიერ განხილული საქმეების გადახედვისთვის ახალი მოდელის მოფიქრება არ იქნება სწორი. რაც შეეხება ომბუდსმენის აზრს, რომ "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი" უფრო ზემდგომია, ვიდრე "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი," ამ მოსაზრებას იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე კიდევ უფრო მარტივად პასუხობს: **"თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ საპროცესო კოდექსზე ზემდგომია "ორგანული კანონი სასამართლოს შესახებ" და "ორგანული კანონი უზენაესი სასამართლოს შესახებ."**

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პრობლემას ვერ ხედავს იმაშიც, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოდან წასული საჩივრების რაოდენობა მატულობს: **"სამწუხაროა, რომ საქართველოს სამი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ადამიანები კვლავ მიდიან ევროსასამართლოში, მაგრამ ამაში საგანგაშო არაფერია, რადგან ეს მათი კანონიერი უფლებაა,"** - ასეთია იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პოზიცია.

რაც შეეხება კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადახედვასთან დაკავშირებით შეგროვებულ 40 ათას ხელმოწერას, პავლე კვლავილის განმარტებით, ისინი პროცესუალური ნორმების დარღვევით არის შეგროვებული, ანუ ხელმოწერები სპეციალურ ბლანკებზე არ არის აღრიცხული. ხოლო ამავე მოთხოვნით, წინა მოწვევის დეპუტატების მიერ გაკეთებულ შუამდგომლობაზე, ამჟამინდელი მონვევის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც მაშინ იურიდიული კომიტეტის წევრი იყო, პასუხობს, რომ საქმის კურსში არ არის.

დოკუმენტის გაყალბებაში ეჭვმიტანილი დააკავეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურში დოკუმენტის გაყალბებაში ეჭვმიტანილი მოქალაქე დააკავეს. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურში 42 წლის ელიზბარ შ. გამოცხადდა. მას დაჩქარებული წესით, იმავე დღეს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის მიღება სურდა.

მონაცემების გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ ელიზბარ შ.-ს მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გაყალბებული იყო, რადგან იგი სხვა პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებით სარგებლობდა. დადგინდა, რომ ელიზბარ შ.-მ საკუთარი ფოტოსურათი სხვა მოქალაქის პირადობის მოწმობაში ჩააკრა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურმა აღნიშნული ფაქტის შესახებ დიდუბის შს სამმართველოს თანამშრომლებს აცნობეს. ეჭვმიტანილი დასაკითხავ პოლიციის განყოფილებაში გადაყვანეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

სკოლის შედაგოგმა თავი მოიკლა

თბილისის 190-ე საშუალო სკოლის შედაგოგმა ნაზი კ.-მ თავი მოიკლა. მისი ცხედარი საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროდან ამოიღეს. როგორც 190-ე სკოლის დირექტორი ამირან ბურჭულაძე აცხადებს, 40 წლის ნაზი კ. 14 წელი 190-ე სკოლის შედაგოგი იყო. ჰყავს გოგონა, რომელიც თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. ბურჭულაძის თქმით, შედაგოგმა თავი ვალების გამო მოიკლა. "იგი თბილისში ქირთი ცხოვრობდა. ოთხი წლის წინ ვალით ბინა იყიდა, თუმცა, გადამიყვანვლამ იგი მოატყუა და ბინა დაკარგა. მას უამრავი ვალი ჰქონდა, როგორც კერძო პირებისგან, ასევე ბანკიდან და პროცენტს ვერ იხდიდა," - აცხადებს ბურჭულაძე.

მისი თქმით, 16 იანვარს ნაზი კ.-მ სახლში მოსწავლეებს გაკვეთილი ჩაუტარა, ყავა დალია, ღამის 11 საათზე სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. ბურჭულაძის ინფორმაციით, თვითმკვლელობამდე შედაგოგმა შვილს ორი წერილი დაუტოვა ერთი 13 იანვრისათა დათარიღებული, მეორე კი 14 იანვრით. დედა შვილს თვითმკვლელობის შესახებ პირადად წერდა. "ეს წერილი პოლიციაში ვნახე," - უთხრა "მედიანიუსს" ამირან ბურჭულაძემ. მისი თქმით, შედაგოგს რაიმე წვრილუბობა ან სტრესი არ ემწნოდა, თუმცა მას კოლეგების ვალებიც ჰქონდა. იგი თანხებს ვეღარ იხდიდა, რის გამოც თავი მოიკლა. **მედიანიუსი**

ევროსასამართლო საქართველოს სარჩელს რუსეთის წინააღმდეგ 16 აპრილს განიხილავს

16 აპრილს საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთა შორის სარჩელს ევროსასამართლო განიხილავს. ამის შესახებ ინფორმაციას სტრასბურგის სასამართლოს პრესსამსახური ავრცელებს. საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი 2007 წლის მარტში შეიტანა. სარჩელს საფუძვლად უდევს ევროპის კონვენციის ადამიანის უფლებათა დაცვის 33-ე მუხლი. სარჩელში საუბარია რუსეთის ტერიტორიიდან დეპორტაციის დროს ქართველი ემიგრანტების უფლებების სისტემატური დარღვევის ფაქტებზე. სარჩელი 2006 წლის 27 სექტემბერს განვითარებულ მოვლენებს ეხება, რომელიც შპონიანში მხილებული ოთხი რუსი ოფიცრის დაკავებას მოჰყვა.

"საქართველოს ხელისუფლება განმარტავს, რომ საქართველოს მოსახლეობის კოლექტიური დეპორტაცია საქართველოს მოქალაქეების უფლებებს არღვევს. ქართული მხარე ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ პირობების გამო, რომელშიც რუსი სამართალდამცველების მიერ დაკავებული 2 ათას 380 საქართველოს მოქალაქე იმყოფებოდა," - ნათქვამია კომუნიკეში. **ჯი-ეიჩ-ენი**

ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

26 იანვარს, დილით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომარშრუტის ორთაშენის მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევას 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მალაი სიჩქარით მოძრავი BMW-ს მარჯის ავტომანქანა გზის საგალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა. ავტომანქანაში ოთხი მგზავრი იმყოფებოდა. წინასწარი ინფორმაციით, სამი მათგანი ადვილზევე დაიღუპა, ერთი დაზარალებული კი თავდაპირველად გორის ქალაქის სავადმყოფოში მოათავსეს და ჯანმრთელობის გაუარესების გამო თბილისის ლუდშაურის კლინიკაში გადაიყვანეს. მედიკოსების განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა მძიმეა. მას აღენიშნება ქალა-ტვინის დაზიანება.

ცხედრები გორის პროზექტურაში გადაიყვანეს. ამ დროისთვის ორის ამოცნობა მოხდა. გარდაცვლილები ლევან თავვაძე და ზურა სვანიძე არიან. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქეზე თავდასხმისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს

რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, მოსკოვში ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქეზე თავდასხმისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს. რუსი სამართალდამცველების განცხადებით, დაზარალებულმა თავად მიმართა მილიციას. აღწერილობის მიხედვით ირკვევა, რომ თავდამსხმელი საქართველოს მოქალაქე იყო. დაზარალებულის განცხადებით, დილის თერთმეტ საათზე საკუთარ სახლთან მას თავს დაესხა ბოროტმოქმედი, რომელმაც იარაღის მუქარით 5 ათასი რუსული რუბლის ღირებულების მობილური ტელეფონი წაართვა და ადგილიდან მიიძალა.

მილიციის თანამშრომლებმა იარაღი და გატაცებული მობილური ტელეფონი ამოიღეს. საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ საქმე ყაჩაღობის მუხლითაა აღძრული. მას 10 წლით პატიმრობა ეიქუება. **ჯი-ეიჩ-ენი**

თვალსაზრისი

სამართლიანი სასამართლოს უფლება

ადამიანის ძირითად უფლებებში ერთ-ერთი არსებითი სწორედ სამართლიანი სასამართლოს უფლებაა. ეს უფლება დემოკრატიულ ქვეყნებში აღიარებულია, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი ძირითადი კანონითა და სამართლებრივი აქტებით, აგრეთვე საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით.

პაატა გომელაური ადვოკატი

1948 წლის 10 დეკემბერს ერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გამოცხადდა. ეს დოკუმენტი იმ პრინციპების დეკლარირებაა, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე წერტილი ცივილიზებული ერებისათვის ამოსავალი გახლავთ.

ევროპული ქვეყნების მთავრობებმა, რომელთაც მსგავსი აზრი გააჩნიათ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებებისა და სამართლის წესის საერთო მემკვიდრეობის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის განსაზღვრული უფლებების კოლექტიური აღსრულების თაობაზე, 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციას ხელი მოაწერეს.

რომის დოკუმენტი შედგება 59 მუხლისგან, რომელთაგან მე-6 მუხლია სამართლიანი სასამართლოს უფლება.

ძალიან მოკლედ თუ რამდენად პრიორიტეტულია დემოკრატიული ქვეყნებისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლება; რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

განვიხილოთ რამდენად სა-

მართლიანია სასამართლო ჩვენს ქვეყანაში: ა) რამდენად განმტკიცებულია სისხლის სამართლის კოდექსით პასუხისმგებლობა უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისთვის; ბ) როგორია სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში; გ) როგორია ტენდეცია - დინამიკა სამართლიანი სასამართლოს ფორმირების საქმეში საქართველოში.

აქვე გვინდა გადაუჭარბებლად აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე საქართველოში ის ადამიანები, რომლებსაც ხელენიფებათ და ჩვენს ქვეყანაში სამართლიან სასამართლოს შექმნიან კიდევ, საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელ მამებად ჩაითვლებიან.

ახლა უფრო დეტალურად სამართლიანი სასამართლოს არსებობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში:

ა) 2007 წლის 4 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 336-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მუხლი შედგებოდა 2 ნაწილისგან, ხოლო ამ მუხლით ინკრიმინირებული დანაშაული მძიმე დანაშაულის კატეგორიას მიეკუთვნებო-

და. მართალია, 336-ე მუხლის ამოღებით სისხლის სამართლის კოდექსიდან მოსამართლეთა პასუხისმგებლობა არავის გაუუქმებია და დღევანდელ სს კოდექსში საკმაოდ მოიძებნება მუხლები, რომლებითაც შეიძლება უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანების პასუხისმგებლობაში მიცემა (მაგ: 332, 333), მაგრამ დღევანდელ საქართველოში, როდესაც პირველი პირიდან დაწყებული რიგით მოქალაქემდე დამთავრებული ყველა სასამართლო ხელისუფლებაში არსებულ პრობლემებზე საუბრობს, სპეციალური მუხლის ამოღება სრულიად გაუმართლებლად გვეჩვენება. მით უმეტეს, ჩვენმა კანონმდებლებმა ყოველივე ეს შესაშური ოპერატიულობით გააკეთეს, ყოველგვარი დისკუსიისა და განხილვის გარეშე. ვფიქრობთ, იურიდიულ საზოგადოებაში დღეს უნდა გაიხსნას დისკუსია ამ თემაზე, კანონმდებლებში სიტუაცია შეფასდეს და საჭიროების შემთხვევაში სს კოდექსში სპეციალური მუხლი აღდგეს, რომელიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისთვის.

ბ) დღეს სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში არის საკმაოდ მკაცრი და ამავდროულად ხისტიც. საკამათოა, რამდენად ობიექტური მიზეზებითაა ასეთი სიმკაცრე და სისხსტე განპირობებული. დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსით სასამართლო საკმაოდ შეზღუდული გახლავთ.

სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დანაშაულის ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისთვის და საბოლოო სასჯელის დანიშნისას მათი შეკრება ხდება.

კანონმდებელმა სასამართლო მოაქცია ვიწრო ჩარჩოში და ამით ნათლად, ნითლად შემოხაზა თუ როგორია სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში. როცა ასეთ ჩარჩოშია სასამართლო მოთავსებული, საკითხავია, სასჯელის დანიშნისას (მუხლი 53), მოსამართლე რამდენად შეძლებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები გაითვალისწინოს. ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფილი ცევა ქმედების შემდეგ და ა.შ.

გაითვალისწინებს კი ყოველივე ამას სასამართლო მაშინ, როდესაც სასამართლოს შეუძლია, დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანსებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება (მუხლი 55).

სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დანაშაულის ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისთვის და საბოლოო სასჯელის დანიშნისას მათი შეკრება ხდება.

გაზრდილობა იქნება

ზესტაფონში განახლებული იურიდიული დახმარების ბიურო გაიხსნა

ზესტაფონში გამგეობის შენობაში იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის განახლებული ბიურო გაიხსნა. პრეზენტაციას ადგილობრივი ხელისუფლების, სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის, სახალხო დამცველის აპარატის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდა. ბიურო თანამედროვე ავეჯითა და უახლესი საოფისე ინვენტარით აღიჭურვა. გარდა ამისა, ბიუროს თანამშრომლები იურიდიული დახმარების სამსახურის ერთიან კომპიუტერულ ქსელს შეუერთდნენ, რაც სამსახურის ოფისებს შორის კომუნიკაციას კიდევ უფრო გააძლიერებს.

ისევე როგორც იურიდიული დახმარების სხვა იურისტები, იმერეთის-ზესტაფონის ბიუროში დასაქმებული 4 საზოგადოებრივი ადვოკატი და 2 კონსულტანტ-სპეციალისტი მოქალაქეებს სრულიად უფასოდ ემსახურებიან. 2008 წელს მათ გადახდისუუნარო მოქალაქეთა ინტერესების დაცვა 262 სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელეს. უფასო სამართლებრივი კონ-

სულტაციით კი 300-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა.

"საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა სწორედ ზესტაფონის ბიუროს სახელს უკავშირდება. 2005 წლის ივლისში, მილოტური პროექტის ფარგლებში ზესტაფონში "საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის" ბიურო ამოქმედდა. იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნის შემდეგ ბიურომ საქმიანობა იმერეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ზესტაფონის განყოფილების სახით გააგრძელა, ხოლო 2008 წლის ივლისიდან მას იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო ეწოდა," - გა-

ნაცხადა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რუსუდან ტაბატაძემ.

იურიდიული დახმარების სამსახურის 10 ბიურო და 2 საკონსულტაციო ცენტრი კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში ფუნქციონირებს. ოფისების კეთილმოწყობა იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია იმერეთი-ქუთაისის ახალი ბიუროს გახსნაც.

საკუთარი ინფორმაცია

სახალხო დამცველის მოადგილედ გიორგი ჩხეიძე ინიშნება

საქართველოს სახალხო დამცველის სოზარ სუბარის მოადგილედ "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩხეიძე ინიშნება. შეთავაზება მან თავად ობ-

მუდმენისგან მიიღო. "შემოთავაზება თავად სუბარისგან მივიღე და დავთანხმდი. ჩემი მის მოადგილედ დანიშნა ოფიციალურად დღეს გაფორმდება. მე ვრჩები საია-ს გამგეობის წევრად, თუმცა ჩემი, როგორც თავ-

მჯდომარის მოადგილედ დარჩენა ასოციაციის გამგეობამ უნდა გადაწყვიტოს," - განმარტა ჩხეიძემ. გიორგი ჩხეიძეს "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარის თანამდებობა 2006-

2008 წლებში ეკავა. მან ახალ თანამდებობაზე სოფო ხორგუანი შეცვალა, რომელმაც პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა. ხორგუანი "რესპუბლიკელების" რიგებს შეუერთდება.

პირველი

ისლანდიის მთავრობა გადადგა

მიზეზი - ეკონომიკური კრიზისი

ხათუნა ბაზიძე

ისლანდიის პრემიერ-მინისტრმა გეირ ხორდემ სამშაბათს ქვეყნის მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადდა. "კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა პრემიერმა კაბინეტის გადადგომა მოსახლეობას კოალიციურ პარტნიორებთან - "სოციალ-დემოკრატებთან" ჩავარდნილი მოლაპარაკებების შემდეგ ამცნო.

"კოალიციური მთავრობა, რომელიც დამოუკიდებლობის პარტიისა და სოციალ-დემოკრატების" ალიანსისგან შედგებოდა, წყვეტს არსებობას," - განაცხადა ხორდემ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გადადგომის შესახებ პრეზიდენტს თხოვნით მიმართავდა.

რამდენიმე დღის წინ გეირ ხორდეს განცხადების თანახმად, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მიმდინარე წლის 9 მაისს უნდა გამართულიყო, თუმცა ასეთი მასშტაბური ცვლილების შემდეგ, არ არის გამორიცხული, არჩევნები უფრო ადრეც ჩატარდეს.

ისლანდიის ეკონომიკა ღრმა



AFP, 2009

კრიზისში ქვეყნის საბანკო სექტორის სრული კრახის შემდეგ აღმოჩნდა, რამაც აიძულა ხელისუფლება, თხოვნით მიემართა მსოფლიო სავალუტო ფონდისთვის 10 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფის შესახებ.

ფინანსურმა კრიზისმა, ისლანდიის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის მოხდენის გარდა, ქვეყანაში მასობრივი ანტისამთავრობო დემონსტრაციებიც გამოიწვია.

მასობრივი აქციები იქცა კი-

დეც კოალიციური მთავრობის დაშლის წინაპირობად. მომიტინგეები მოითხოვდნენ კაბინეტის დათხოვნას, რომელმაც ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისიდან გამოყვანა. მანიფესტანტებს რამდენიმე დღის განმავლობაში გადაკეტილი ჰქონდათ ისლანდიის პრეზიდენტის შესასვლელი. საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად პოლიციას ცრემლმდენი გაზისა და რეზინის ხელკეტების გამოყენებაც მოუხდა. სამართალდამცველებმა საპრო-

ტესტო აქციის 20 მონაწილე დააკავეს, რომლებმაც პარლამენტის შენობის ირგვლივ კოცონი გააჩაღეს.

სამართალდამცველებთან ასეთი მასშტაბური შეჯახება ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის რაოდენობა სულ 320 ათასი ადამიანით განისაზღვრება, არ მომხდარა 1949 წელს ისლანდიის ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ.

ისლანდიის ან უკვე გადადგარი მთავრობის მონაწილემდეგეთა აზრით, ხელისუფლების მიერ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გატარებული "აგრესიული" საკრედიტო პოლიტიკამ ხელი შეუწყო ქვეყნის სამი უმსხვილესი ბანკის გაკოტრებას. მათი აზრით, ისლანდიის სახელმწიფო გაკოტრებისგან გადარჩენა ამჟამად მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებითა და მეგობარი სახელმწიფოების მიერ გამოყოფილი კრედიტების საშუალებითაა შესაძლებელი. ეკონომიკური კრიზისის შედეგად სახელმწიფოში მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევრობის დონე და ეროვნული ვალუტის - კრონის მკვეთრი დევალაცია მოხდა.

სამხედრო ოპერაციის შემდეგ ღაზას სექტორის ბაღი განიხილება

შესაძლოა, მხარეები 18 თვით ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ

დათო ბაჩისონია

პალესტინის ავტონომიის ხელისუფლების წარმომადგენლები და საერთაშორისო უფლებადამცველები ისრაელს სამხედრო დანაშაულის ჩადენაში და არაადეკვატური ძალის გამოყენებაში ადანაშაულებენ. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა გასულ კვირას კატეგორიულად მოითხოვა ისრაელის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კუთვნილი საწყობისთვის ცეცხლის გახსნის გამოძიება და დამნაშავეების დასჯა. გარდა ამისა, ისრაელის ადამიანის უფლებათა დამცველი რვა ორგანიზაცია სამხედრო ოპერაციის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ჩატარებას მოითხოვს. აქტივისტების თქმით, ბავშვებსა და ქალებს შორის არსებული მსხვერპლის რაოდენობა თავზარდამცემია.

ისრაელის მხარე განმარტავს, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის შესაჩერებლად ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, ამიტომ, ისრაელის პრემიერ-მინისტრ ეჟუ ოლმერტის განცხადებით, კვალიფიცირებული იურისტების გუნდი აუცილებლად დაცავს ისრაელის თავდაცვის - "ცახალის" ჯარისკაცებს.

პრემიერ-მინისტრ ოლმერტის თქმით, "როგორც ჯარისკაცებმა, ასევე მეთურებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი დაცულნი არიან ნებისმიერი ტრიბუნის მიერ ბრალის წაყენებისგან. ისრაელი მათ დაიცავს და დაეხმარება." პრემიერმა სამთავრობო კომისიის შექმნის ინიციატივა წამოჭრა. შექმნილი კომისია კოორდინირებას გაუწევს ისრაელის ძა-



AFP, 2009

ლისხმევას და იურიდიულად დაცვას ღაზას სექტორის ოპერაციის მონაწილეებს.

მოლაპარაკებები ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ

კაიროში ეგვიპტის ხელისუფლებასა და "ჰამასის" წარმომადგენლებს შორის მორიგი მოლაპარაკება გაიმართა. მათ ისრაელთან შესაძლო სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის საკითხი განიხილეს. ეგვიპტური სააგენტო "მენას" ცნობით, "ისრაელს მშვიდობის დამყარების შესახებ შეთავაზება აქვს - თავდაპირველად ცეცხლის შეწყვეტა 18 თვის განმავლობაში, ამას მათი მხრიდან მოჰყვება საკონტროლო-გამშვები პუნქტების თანმიმდევრულად გახსნა. თუმცა ისრაელის მხარე თავისი მოთხოვნები წამოაყენა - ეს გულისხმობს კონტრაბანდული საქონლის მოძრაობის შეწყვეტას სინაის

ნახევარკუნძულიდან ღაზას სექტორში; ამასთანავე, ისრაელი უფლებას იტოვებს, საჭიროების შემთხვევაში "ჰამასის" წინააღმდეგ ძალისმიერი მეთოდები გამოიყენოს ღაზაში კონტრაბანდისა და იარაღის წარმოების შესაჩერებლად." ეგვიპტეში გამართულ მოლაპარაკებებში ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენელ ამოს გილადის თქმით, "ისრაელმა ღაზას სექტორისა და ეგვიპტის საზღვარზე მონიტორინგის უფლება უნდა მიიღოს."

ყატარის ტელეკომპანია "ალ-ჯაზირა" იუწყება, რომ "ჰამასმა" უარი განაცხადა ისრაელის წინადადებაზე 18 თვით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. "ჰამასის" წარმომადგენლებმა კაიროში ეგვიპტის დაზვერვის ხელმძღვანელ ომარ სულიმანს განუცხადეს, რომ "ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა" მზადაა, ერთი წლით ცეცხლის შეწყვეტას იმ პირობით დათანხ-

მდეს, თუკი ღაზას სექტორის ყველა სასაზღვრო გადასასვლელი მუდმივად იქნება გახსნილი როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე ტვირთის მოძრაობისთვის. გარდა ამისა, "ჰამასი" მზად არის, სასაზღვრო კონტროლს ევროკავშირისა და თურქეთის ინსპექტორებმა გაუწიონ ზედამხედველობა. ღაზას სექტორში "ჰამასის" ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა აიბან ტახამ განმარტა, რომ საჭიროა კონსულტაციები დამასკოში მყოფ "ჰამასის" პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. ამ განხილვების შემდეგ "ჰამასი" ეგვიპტეს უფრო დაზუსტებულ წინადადებას წარუდგენს.

"ჰამასმა" განაცხადა, რომ სურს, ერთპიროვნულად გააკონტროლოს ღაზას სექტორის რეაბილიტაციისთვის სხვადასხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გამოყოფილი საშუალებები. ამ მიზნით უკვე შექმნილია სპეციალური "ნაციონალური კომიტეტი", მას ხელმძღვანელობს სოციალურ საკითხებში "ჰამასის" ხელისუფლების მინისტრი აჰმად ალ-კურდი.

"ჰამასის" წინადადებას არ ეთანხმება პარტია "ფათხი" და პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის თავმჯდომარე მამუდ აბასი. მისი თქმით, გამოყოფილი დახმარების განაწილება და ღაზას განვითარება "არასამთავრობო ორგანიზაციებმა" უნდა განაცორციელონ. ამ პოზიციას მხარს უჭერს ეგვიპტე, ხოლო ისრაელი და შეერთებული შტატები კი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, რომ ღაზას სექტორისთვის გამოყოფილი რაიმე სახის დახმარება "ჰამასთან" ასოცირებულ სტრუქტურებს გადაეცეთ.

"გარდანი" მსოფლიო ფინანსური კრიზისის შექმნაში დამნაშავეებს ასახელებს

"მსოფლიო ფინანსური კრიზისი ბუნების ფენომენი კი არ არის, არამედ კონკრეტული ადამიანების მიერ შექმნილი სიტუაციაა," - წერს ბრიტანული გაზეთი "გარდანი" და იმ 25 ადამიანის ვინაობას ასახელებს, რომლებიც მსოფლიო ფინანსური კრიზისის შექმნაში არიან დამნაშავენი.

გაზეთის აზრით, პასუხისმგებელთაგან პირველ ადგილზე აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ალან გრინსპენია. მისი დანაშაულია ის, რომ "მან ნება დართო, იპოთეკური ბუმი გაზრდილიყო დაბალი საპროცენტო განაკვეთისა და იპოთეკური სესხების სფეროში დაბალი რეგულირების არასაკმარისობის პირობებში." გარდა ამისა, გაზეთი რვა პოლიტიკოსთა ვინაობასაც ასახელებს, რომელთა შორისაც არიან: აშშ-ს ადმინისტრაციის ექს-მეთაურები ბილ კლინტონი და ჯორჯ ბუში, ასევე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი.

კრიზისში ბრალდებულთა სიაში ასევე მოხვდნენ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მსხვილი ფინანსური დაწესებულებების ყოფილი და ახლანდელი მოღვაწეები, ისეთები როგორებიცაა: სადაზღვევო კომპანია "American International Group Inc"; ბანკები: "Lehman Brothers", "Goldman Sachs"; "Halifax Bank of Scotland"; "Merrill Lynch"; "Bradford & Bingley"; "Royal Bank of Scotland"; "Northern Rock"; "Bear Stearns"; "Bank of England" და სხვ. გამომცემლობა ასევე ადანაშაულებს მილიარდერ უორენ ბაფეტს, ფინანსისტ ჯორჯ სოროსს, ამერიკული ჰეჯ-ფონდის ხელმძღვანელ ჯონ პოლსონს და აცხადებს, რომ "ისინი ხედავდნენ მის (კრიზისის) დადგომას". **ჯი-ეიჩ-ენი**

ბორანის ჩაძირვის შედეგად 39 ადამიანი დაიღუპა

ვიეტნამის ცენტრალურ ნაწილში, ქალაქ ვინის სამხრეთით სამდინარო ბორანი ჩაძირა. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, დაღუპულია 39 ადამიანი; ხუთი მგზავრი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნევა.

წყლიდან 40 ცხედარი ამოიღეს, მათ შორის - 27 ქალი-სა და 14 არასრულწლოვანი გოგონასი. ბორანი სანაპიროდან 20 მეტრში ჩაძირა. გავრცელებული ინფორმაციით, ბორანის ჩაძირვის მიზეზი გადატვირთვა გახდა, რადგან 12 ადამიანზე განკუთვნილი ტრანსპორტით 80 მგზავრი გადაჰყავდათ. **მედიაინუსი**

იტალიაში მენყერმა 5 ადამიანი შეინირა

კვირას იტალიის სამხრეთში მენყერის ჩამონოლის შედეგად, სულ ცოტა, ხუთი ადამიანი დაიღუპა. მასველია ცნობით, მენყერი ქალაქების რეჯო-დი-კალაბრიასა და სალერნოს დამაკავშირებელ გადატვირთულ მაგისტრალზე გაუთავებელი კოკისპირული ნვიმების შედეგად ჩამონვა. იმავე დღეს ნეაპოლის ერთ-ერთ პლაჟზე ქალი დაიღუპა. ერთი დღით ადრე ესპანეთსა და საფრანგეთში კი სტიქიას 8 და 12 ადამიანი ემსხვერპლა; ევროპაში დაღუპულთა საერთო რაოდენობა უკვე 24-ს აღწევს. 24 იანვარს ესპანეთსა და საფრანგეთში, 25 იანვარს კი იტალიის სამხრეთზე თავს დამტყდარი ქარიშხალი 1999 წლიდან უმძლავრესია ევროპაში. ათი წლის წინ სტიქიამ 88 ადამიანის სიცოცხლე შეინირა. **მედიაინუსი**

თვითმფრინავი აფეთქებას გადაურჩა

ნიგერიის აეროპორტ კანოში ბოინგ 777-მა აღმოდებული ძრავით საავარიო დაჯდომა განახორციელა. "ბრიტთიმ ეარვეიზის" ეკიპაჟმა საგანგებო დაჯდომის გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც კვამლმა კაბინაში შეაღწია. დაშვება წარმატებით განხორციელდა; ბორტზე მყოფი 155 მგზავრიდან და ეკიპაჟის 14 წევრიდან არავინ დაზარალდა. თვითმფრინავი ნიგერიის დედაქალაქ აბუჯადან ლონდონისკენ მიფრინავდა. დაზუსტებული მონაცემებით, ინციდენტი აფრენიდან 30 წუთში მოხდა. **მედიაინუსი**

ბოლივიელებმა ახალი კონსტიტუციის პროექტს მხარი დაუჭირეს

ბოლივიის მოქალაქეებმა პრეზიდენტ ევო მორალესის მიერ შეთავაზებულ ახალი კონსტიტუციის პროექტს მხარი დაუჭირეს. კონსტიტუციის პროექტი რეფერენდუმში მონაწილეთა 56,8 პროცენტმა მოიწონა, წინააღმდეგ კი ხმა 43,2 პროცენტმა მისცა.

ახალი კონსტიტუცია მორალესს საშუალებას აძლევს, პრეზიდენტის პოსტზე 2014 წლამდე იყოს. უკვე განიხილება იმ კანონის გაუქმება, რომლის მიხედვით ერთსა და იმავე პირს ზედზედ ორჯერ პრეზიდენტობა ეკრძალებოდა. საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც, სავარაუდოდ, მორალესი გაიმარჯვებს, 2009 წლის დეკემბერში გაიმართება. **მედიაინუსი**

მსოფლიოში ნავთობის ფასი გაიზარდა

როგორც "პირველს" ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან აცნობეს, მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 48,37 (+2,98) აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude Oil ტიპის ნავთობის ფასმა - 46,47 (+2,80) აშშ დოლარი. **პირველი**

პუტინი აშშ-სა და რუსეთის სამომავლო ურთიერთობების შესახებ "ფრთხილ ოპტიმიზმს" გამოთქვამს

რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი აშშ-სა და რუსეთის სამომავლო ურთიერთობების შესახებ "ფრთხილ ოპტიმიზმს" გამოთქვამს. სააგენტო Bloomberg-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პუტინმა განაცხადა, რომ მიესალმება აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას განზრახვას აღმოსავლეთ ევროპაში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განთავსებაზე ანალიზის ჩატარების შესახებ. "ასევე მისასალმებელია ობამას პოზიტიური სიგნალი ნატო-ს გაფართოების მიმართ," - განაცხადა პუტინმა და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების განვითარებაში "ფრთხილ ოპტიმიზმს" გამოთქვა.

ლავროვის უწყება "ჰუმან რაითს უოთჩისა" და "ფრიდომ ჰაუსის" ანგარიშებს ეხმაურება

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ორგანიზაციების "ჰუმან რაითს უოთჩისა" და "ფრიდომ ჰაუსის" ანგარიშებს ეხმაურება. სერგეი ლავროვის უწყება არ უარყოფს "რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით პრობლემების არსებობას", მაგრამ ანგარიშების ავტორებს მოუწოდებს, ამ საკითხის პოლიტიზირებისაგან თავი შეიკავონ. "არ უარყოფთ ამ სფეროში არსებული ზოგი პრობლემის არსებობას, მაგრამ დაგვისახელოთ ნებისმიერი ქვეყანა, სადაც ეს პრობლემები არ არის. რუსეთი ნებისმიერი კონსტრუქციული დიალოგის სანარმოებლად მზადაა, მათ შორის ამ თემის განსახილველადაც," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში და იქვე აღნიშნულია, რომ "უფლებების დამცველი პრობლემის პოლიტიზირება ხელს არ უწყობს არსებული პრობლემების გადაჭრას, არამედ უფრო ამ სფეროში არსებული პრობლემების დევალვაციას ემსახურება." **ჯი-იჩი-ენი**

ახლოდროსავლური კონფლიქტები მხარეებს 12 ტრილიონი დოლარი დაუჭდათ

ახლოდროსავლური კონფლიქტები მათ მონაწილეებს 12 ტრილიონი დოლარი დაუჭდათ. როგორც სააგენტო "ფრანსპრესი", ინდური ანალიტიკური ცენტრის (Strategic Foresight Group) მიერ საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით იუწყება, განვითარების ტემპების შენელება და ცხოვრების დონის დაწვევა კონფლიქტებში მონაწილე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს 12 ტრილიონი დოლარი დაუჭდათ. მკვლევარებმა ახლო აღმოსავლეთში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში განვითარებულ კონფლიქტების შედეგები შეისწავლეს, მათ შორის - ისრაელ-პალესტინური კონფლიქტი, და-პირისპირება ლიბანში და აშშ-ს შეჭრა ირაკში. ექსპერტთა აზრით, ისრაელის მოსახლეობის და პალესტინელების საშუალო შემოსავლის მაჩვენებელი იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირებული მხარეები 1991 წელს მადრიდის კონფერენციაზე სამშვიდობო შეთანხმებას მიაღწევდნენ, ორჯერ მაღალი იქნებოდა. შესაბამისად, უფრო მაღალი იქნებოდა მათი ცხოვრების დონეც. **ჯი-იჩი-ენი**

რუსეთის არმიის ქვედანაყოფები, შესაძლოა, არალეგალური იარაღის გამოყენებაზე გადავიდნენ

2009 წლიდან რუსული არმია გრეთ ნოდებელი არალეგალური იარაღის გამოყენებაზე გადასვლას აპირებს, - ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო "ინტერფაქსი" ავრცელებს. ასეთი იარაღის გამოყენებაზე მთელი რიგი ქვედანაყოფების გადასვლა იგეგმება, ისეთების, როგორიცაა ანტიტერორიზმისა და კომენდანტის სამსახურების ქვედანაყოფები, რომლებიც წესრიგს იცავენ სამხედრო გარნიზონებში და ბაზებზე, ასევე ფლოტში.

ახალი შეიარაღების გარდა, ქვედანაყოფებში დარჩება ჩვეულებრივი საბრძოლო იარაღი - კალაშნიკოვი. შს მინისტრის პირველი მოადგილის მიხედვით სუხოლოდსკის განცხადებით, სამხედრო დანაყოფები მხოლოდ სამაშულო წარმოების არალეგალურ იარაღს გამოიყენებენ, რადგან რუსული წარმოების არალეგალური იარაღის ხარისხი ბევრად აღემატება უცხოურის ხარისხს. მისი განცხადებით, მსგავს იარაღს მინიჭებენ საქმეთა სამინისტროსა და შინაგანი უსაფრთხოების სამსახურის ფედერალური სამსახურის სპეციალური დანაყოფები იყენებენ, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ. მინიჭებენ საქმეთა სამინისტროს გადახალისებაზე განცხადება სუხოლოდსკიმ ჯერ კიდევ 2008 წლის ოქტომბერში გააკეთა. "კალაშნიკოვისა და მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი მოქალაქეებისათვის უფრო უსაფრთხო, ხოლო სამართალდამცავებისთვის უფრო კომპაქტური იარაღი უნდა შეიცვალოს," - განმარტა სუხოლოდსკიმ. **ჯი-იჩი-ენი**

დიდ ბრიტანეთში მარიხუანას შენახვა-გავრცელებისთვის სასჯელი გაამკაცრეს

დიდ ბრიტანეთში მარიხუანას შენახვა-გავრცელებისთვის სასჯელი გაამკაცრეს. ექსპერტების რეკომენდაციის მიუხედავად, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარიხუანა სახიფათო ნარკოტიკების სიაში შეიტანა და ამფეტამინებს დაუთანაბრა.

შესაბამისად, დიდ ბრიტანეთში მარიხუანას გავრცელებისთვის სასჯელი, რომელიც 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, 5 წლამდე გაიზარდა. **ჯი-იჩი-ენი**

ობამას ეკონომიკური გეგმა

გავლენიანი "რესპუბლიკელები" გეგმას მხარს არ უჭერენ



AFP - 2009

ნათუნა ბაჩიანი

აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ ნაციონალური ეკონომიკის გეგმის აღდგენა ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ კრიზისს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

შეერთებული შტატების "დემოკრატი" პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების გეგმა წარადგინა, რომლის განხორციელებასაც 825 მლრდ აშშ დოლარი სჭირდება. "ბი-ბი-სი"-ს თანახმად, "რესპუბლიკური პარტიის" გავლენიანი წარმომადგენლები პრეზიდენტის გეგმის ჩაგდებას იმუქრებიან.

აშშ-ს ახალი ვიცე-პრეზიდენტ ჯოსეფ ბაიდენის აზრით, "ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობა იმაზე ცუდია, ვიდრე ყველა ფიქრობდა და დღითიდღე კიდევ უფრო უარესდება."

ბაიდენი გამოსავალს ბარაკ ობამას საპრეზიდენტო პროგრამის უმთავრეს პუნქტში - ნაციონალური ეკონომიკის გეგმის განხორციელებაში ხედავს.

ვიცე-პრეზიდენტის თქმით, "მომზადების პროცესში მყოფი ეკონომიკური პაკეტის, დაახლოებით, 40 პროცენტი საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას ეთმობა, რაც "დემოკრატებისთვის"

არასასურველია, 60 ეკონომიკის სტიმულირების მიზნით სახელმწიფო ხარჯებს ითვალისწინებს, რაც მაინცდამაინც არ მოსწონთ "რესპუბლიკელებს".

შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას საკმაოდ ძვირადღირებული ეკონომიკური გეგმა მილიონობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და ინფრასტრუქტურის კაპიტალურ განახლებას ითვალისწინებს.

საპრეზიდენტო არჩევნებში ობამას ყოფილ მეტოქეს დანახარჯების გაზრდის ნაცვლად უფრო გონივრულად გადასახადების შემცირება მიაჩნია. კონგრესში "რესპუბლიკელებს" უმცირესობის ლიდერ ჯონ ბონერის თქმით, პრეზიდენტის წინადადების პაკეტს სერიოზული შესწორება სჭირდება.

ტელეარხ "ფოქსთან" ინტერვიუში ჯონ მაკკეინმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ინიცირებულ ეკონომიკურ გეგმაში არასაკმარისადაა გათვალისწინებული ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის საჭირო ღონისძიებები.

"თუ ჩვენ ეკონომიკის სტიმულირება გვსურს, ამ გეგმაში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. შეთავაზებული ვარიანტის სასარგებლოდ ხმის მიცემა არ შემიძლია," - განაცხადა "რესპუბლიკელებს" გავლენიანმა წარმომადგენელმა.

რაც შეეხება კონგრესში "რესპუბლიკელებს" უმცირესობის ლიდერის პოზიციას, ჯონ ბონერის აზრით, გეგმა, მართლაც, გასაკრიტიკებელია.

"აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებულია ძალიან ბევრი სამთავრობო ხარჯი, რაც შედეგს ვერ მოიტანს. ჩვენ ვერ შევძლებთ ქვეყნის აყვავებას მხოლოდ ვალების აღებითა და შემდგომში მათი ხარჯვით," - მიიჩნევს ბონერი.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გეგმის დასაბლოკად "რესპუბლიკელებს" არა აქვთ ხმათა საკმარისი რაოდენობა. მათ, მაქსიმუმ, სენატში წინადადებათა პაკეტის განხილვის გაჭიანურება შეუძლიათ.

კონგრესის სპიკერ ნენსი პელოსის თქმით, პალატის წარმომადგენლები კენჭს უყრიან ეკონომიკური პაკეტის მიღებას ამ კვირაში.

ამავდროულად, "ბი-ბი-სი"-ს ცნობით, სენატი ეკონომიკური პროგრამის სხვა ვერსიაზეც იწყებს მუშაობას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება "რესპუბლიკელებს" წინადადებებიც.

როგორც ჩანს, ბარაკ ობამა პირველი გამოცდის პირისპირ აღმოჩნდა: მისგან ეკონომიკური კრიზისის უსწრაფეს დაძლევის

ელიან იმ ვითარებაში, როცა ოპოზიცია მის გეგმას განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე, მეტიც - კრიტიკით შეხვდა.

ბარაკ ობამა კონგრესში "რესპუბლიკელებს" ლიდერებს შეხვდა იმ იმედით, რომ ოპოზიციურად განწყობილთა გადარწმუნებას შეძლებდა.

შეერთებული შტატების პრეზიდენტთან კომპრომისზე ნასასვლელად "რესპუბლიკელებს" დარწმუნებას უქმნებდა ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენიც ცდილობდა. გამართული შეხვედრების შემდეგ ბაიდენის კომენტარები საკმაოდ ოპტიმისტურიც იყო.

"ვფიქრობ, ჩვენ მივიღებთ მნიშვნელოვან უმრავლესობას "დემოკრატებისა" და "რესპუბლიკელების" მხრიდან ეკონომიკური პაკეტის კენჭისყრის დროს," - ირწმუნებოდა ჯო ბაიდენი.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებიდან დაიწყო - საბანკო სისტემის რეკორდული დაზარალებით იპოთეკური სესხის ბაზარზე. ფინანსურ სფეროში დაწყებული ქაოსი კი მალე ეკონომიკის სხვა სფეროებზეც გავრცელდა, მათ შორის, სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს საავტომობილო ინდუსტრიაზეც.

ბუსტსელური იაკონიაში

ბარაკ ობამას გამოსვლების დროს წარმოთქმული სიტყვები

ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას საჯარო გამოსვლების დროს წარმოთქმული სიტყვები, იაკონური თარგმანითა და ინგლისური ტექსტებითურთ, იაკონიაში ბესტსელურად არის ქცეული. შეერთებული შტატების საპრეზიდენტო კამპანიის ბოლო პერიოდში იაკონელებმა

400 ათასზე მეტი ჩანაწერი შეიძინეს. აღსანიშნავია, რომ ეს იშვიათი გამოცემა ამომავალი მზის ქვეყანაში ერთმილიონიანი ტირაჟით გამოვიდა. როგორც გამოცემის წარმომადგენელმა განმარტა, საპრეზიდენტო კანდიდატების გამოსვლები საუკეთესო საშუა-

ლება ინგლისური ენის შესასწავლად, რადგან, ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი იოლად ამასსოვრდება ადამიანს. "განსაკუთრებულად კარგი იყო ობამას გამოსვლები. მისი სიტყვები გრძნობით არის აღსავსე, ხშირად ისმის - "ღიას, ჩვენ შეგვიძლია",

"ცვლილებები" და "იმედი", რასაც იაკონელიც იოლად დაიმასსოვრებს," - აღნიშნავს ნიენის გამომცემელი.

95-გვერდიანი და თხელყდიანი ნიენი წიგნით მოვაჭრე უმსხვილეს ვებგვერდ "ამაზონზე" ერთპიროვნული ლიდერია იაკონიაში.

რევოლუ



გუშინ სრულიად ჩინეთი ახალ წელს ზეიმობდა. ღამით, ზუსტად თორმეტზე ახალ ხარის წელიწადს შაშხანებით შეხვდნენ. დღისით კი ქალაქებში დიდი საზეიმო პროცესიები დაიწყო. ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ათასობით ჯარისკაცი, მოცეკვავე და ჟონგლიორი ჩინეთის იმპერიის სიდიადეს აგონებდა მნახველს.

AFP - 2009

ობამას ფონოგრამით უმღერეს

ინაუგურაციის ცერემონილის დამსწრეებს პრეტენზიები გაუჩნდათ

ბარაკ ობამა უკვე ერთი კვირაა თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში ზის და მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს მართვას სწავლობს, ამიტომ ალბათ ნაკლებად აღელვებს ის, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ. თუმცა პრესამ ეს შემთხვევა მაინც აქცია სკანდალად. აღმოჩნდა, რომ საპრეზიდენტო ინაუგურაციისას სიმფონიური კვარტეტი ფონოგრამაზე უკრავდა.

კვარტეტი, რომლის ოსტატობაც მთელმა მსოფლიომ პირდაპირ ეთერში იხილა, ძალიან ცნობილი და წარმატებული მუსიკოსების შემადგენლობით მოღვაწეობს. მევიოლინე იცხაკ პერლმანი, ვიოლონჩელისტი იო იო მა, პიანისტი გაბრიელა მონტერა და კლარნეტისტი ენტონი მაკგელი დიდი ხანია ერთად მუშაობენ და იმით არიან ცნობილი, რომ მხოლოდ მნიშვნელოვან სადამოებ-სა და კონცერტებზე გამოდიან. ასე მოხდა ამჯერადაც - ბარაკ ობამას ინაუგურაციისთვის სხვა ორკესტრის დაქირავებაზე საუბარიც არ ყოფილა.

როგორც ირკვევა, ინაუგურაციის ცერემონიაზე ფონოგრამის თანხლებით გამოსვლის გადანყვებილება მუსიკოსებმა 19 იანვარს ჩატარებულ გენერალურ რეპეტი-



ციაზე მიიღეს. პრობლემა კი მხოლოდ და მხოლოდ ამინდში ყოფილა და არა მუსიკოსების მოუმზადებ-

ლობაში. საქმე ისაა, რომ ინაუგურაციის დღეს ვაშინგტონში ძალიან ციოდა, ამიტომ გაჩნდა საშიშროება,

რომ ყინვა ინსტრუმენტებს აშლიდა. ამიტომ სასწრაფოდ მოამზადეს ფონოგრამა და ცერემონილის დამ-

სწრეებმა და მილიონობით მაყურებელმა ჩანაწერი მოისმინეს. ფონოგრამა კი სასწრაფო წესით 19 იანვარს ჩანერეს.

“სხვა გზა არ გვქონდა. ასეთ მნიშვნელოვან ცერემონიაზე ცუდი ჟღერადობით ვერ გავაფუჭებდით”, - განაცხადა პრესასთან იცხაკ პერლმანმა.

მისი კვარტეტი ერთდერითი არ იყო, ვინც ინაუგურაციის დღეს დახმარებისთვის ფონოგრამას მიმართა. მაგალითად თვით არეტა ფრანკლინიც კი მიწუს ფონოგრამაზე მღეროდა. იმ დღეს მხოლოდ ბავშვთა გუნდი და საზღვაო ფეხოსანთა ორკესტრი გამოვიდა ცოცხალი შესრულებით.

ბარაკ ობამას ინაუგურაციისადმი არაერთი პრეტენზია ცერემონილის ჩატარების მომდევნო დღეებშიც გამოითქვა. მოქალაქეები, ვინც ცერემონიაზე დასასწრეები ბილეთები შეიძინეს, პროტესტს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ვერ დაინახეს, როგორ დებდა ფიცს ახალი პრეზიდენტი. ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე დაწყებულია გამოძიება და შესაძლოა ის ხალხიც დაისაჯოს, ვისაც ცერემონილის ბილეთიან დამსწრეთა განაწილება ევალებოდა.

AFP - 2009



აფიშა

27 იანვარი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
"მოხუცი ჯამბაზები"
რეჟისორი გორა კაპანაძე
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
"Romale"
დასაწყისი: 20.00

თეატრალური სარდაფი
"სულიკო"
რეჟისორი დუტა სხირტლაძე
დასაწყისი: 20.00

პანტომიმის თეატრი
"ნმინდა გიორგი"
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი: 19.00

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი
"ჭკუისა მჭირს"
დასაწყისი: 18.00

კინო

"ამირანი"

რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15
"პატარძლების ომი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 16.45; 18.30; 20.30; 22.15;
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 13.30;

"რუსთაველი"

"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00
"დღეს, როცა დედამინა გაჩერდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30
"ტრანსპორტი III"
დასაწყისი: 13.45; 15.45; 17.45; 19.45; 21.45
"არწივის თვალი"
დასაწყისი: 12.45; 15.15; 17.30; 20.00; 22.15
"ავსტრალია"
დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30

გალერეა

"ქარვასლა"

ირაკლი გოგიას გამოფენა
ხეზე ნაკვეთი კომპოზიციები

"ორნამენტი"

ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

"შარდენი"

ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა

N გალერეა

სანდრო ანთაძის პერსონალური გამოფენა

"ვერისაყი"

გიორგი გაგოშიძის გამოფენა
"აბასთუმანი, აბასთუმანი..."

პოზი

როკო ირემაშვილის პერსონალური გამოფენა
ფერწერა, გრაფიკა

ელენე ახვლედიანის სახელობის პავილიონი სურათების გალერეა

საქართველოს გაეროს განვითარების პროგრამა
გამოფენა "პავილიონი უფლებების დაცვა"

კორტაჟი

ანსელ ადამსი

ადამიანი ფოტოობიექტივის მიღმა და პეიზაჟი მის წინ

თამარ ქიქნაძე

"მე ყოველთვის ვცდილობ სამყაროს მშვენიერება აღვბეჭდო", - ანსელ ადამსის ეს სიტყვები მისი შემოქმედების არსს გამოხატავენ. აი, ასეთ მიზანს უსახავდა საკუთარ თავს ლეგენდარული ფოტოგრაფი, რომელიც დღეს უკვე ფოტოხელოვნების ისტორიის განუყოფელ ნაწილად მიჩნეულ ნამუშევრებს ქმნიდა.

ანსელ ადამსი 1902 წლის 20 თებერვალს, სან ფრანცისკოში, მრეწველ ჩარლს ხიჩკოკ ადამსის ოჯახში დაიბადა. ბავშვობა მან "ოქროს კარიბჭის" სრულტყის შორიხლოს, მდიდარი ხე-ტყის მრეწველი ბაბუის სახლში გაატარა. ანსელს ადრეული ასაკიდან შეუყვარდა ბუნება და მისი დიდებულება.

1906 წელს აშშ-ში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. სან ფრანცისკო ნანგრევებად იქცა. ოთხი წლის ადამსი, რომელმაც ეს საშინელი კატასტროფა მძაფრად განიცადა, ცხვირის მოტეხილობა დაემართა. ერთი წლის შემდეგ, ანსელს კვლავაც მძიმე პერიოდი დაუდგა - 1907 წელს, ფინანსურმა კრიზისმა ადამსების ოჯახის კეთილდღეობას მძიმე დარტყმა მიაყენა.

ანსელ ადამსის სასკოლო წლებს ბედნიერს ვერ დავარქმევთ. მას თანატოლებთან ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, რომ არ ეწყობოდა: გამრუდებული ცხვირი და დისლექსია, დაბადებიდან მორიდებულ ბავშვს, კიდევ უფრო ჩაკეტილს ხდიდა. ამიტომაც, მშობლებმა გადაწყვიტეს მისთვის განათლება სახლის პირობებში მიეცათ. სკოლიდან გამოყვანის შემდეგ, მას დეიდა მარი და მამა სახლში ამეცადინებდა, რამაც სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო. ბიჭმა თავი, განსაკუთრებით, ბერძნულ ენასა და ფორტუნიანოზე დაკვირვებით გამოიჩინა. იდეალური სმენა, მშენიერების განვითარებული გრძნობა და შესანიშნავი მეხსიერება, ხელის მტევანის მცირე ზომის მიუხედავად, ანსელ ადამსს შესაძლებლობას აძლევდა წარმატებული მომავლის მქონე პიანისტი გამხდარიყო. თუმცა, სცენისა და საჯაროდ გამოსვლების შიშმა ადამსის იმედები მუსიკოსის კარიერასთან დაკავშირებით თანდათან შეამცირა. ფორტუნიანო მისთვის მხოლოდ გატაცებად დარჩა. ბედის წყალობით, ადამსი სულ სხვა პროფესიას დაეუფლა.

14 წლის ბიჭუნას მამა ფოტოპარატი - Kodak No. 1 Box Brownie აჩუქა. პირველი კადრები მან სერა-ნევადას მთებში გაშლილ ნაციონალურ პარკში გადაიღო, სადაც ის ოჯახთან ერთად გაემგზავრა. ამან კი, ანსელ ადამსის ცხოვრება ერთხელ და სამუდამოდ შეცვალა. მოგვიანებით ადამსი "Sierra Club"-ს შეუერთდა. ეს ორგანიზაცია ბუნების მოვლითა და დაცვით იყო დაკავებული. დამწყები ფოტოგრაფი სულ უფრო მეტ დროს უთმობდა ფეხით სუარულს, ალპინიზმს და ბუნების კვლევას. ახალი გატაცებისა და საინტერესო ადაიანებთან ნაცნობობის დახმარებით, ანსელმა თავისი სისუსტეები გადალახა.

1922 წელს, "Sierra Club"-ის ბიულეტენში ამ ფოტოგრაფის



ნამუშევრები პირველად გამოაქვეყნეს, ხოლო ექვსი წლის შემდეგ, კლუბის შტაბ-ბინაში, მისი პირველი გამოფენაც მოეწყო. ამ კლუბში განეკრიანებამ დიდი როლი ითამაშა არა მხოლოდ ადამსის ფოტოგრაფიისადმი ინტერესის გაღვივებაში, არამედ მის პირად ცხოვრებაშიც - მან სწორედ ამ კლუბში გაიცნო მისი მომავალი მეუღლე - ვირჯინია ბესტი. "სტუდია ბესტი", რომელიც ადამსის ნამუშევრების გაყიდვით იყო დაკავებული, მოგვიანებით ვირჯინიას მამისგან მემკვიდრეობით გადაეცა და ახლა ატარებს სახელწოდებას - "Ansel Adams Gallery". ის ადამსების ოჯახის საკუთრებაა.

ფოტოგრაფიული ნიჭის აღმოჩენაში ანსელ ადამსს ალბერტ მ. ბენდერთან 1927 წელს შეხვედრი ნაცნობობაც დაეხმარა. ალბერტ მ. ბენდერი იყო სან ფრანცისკოელი სადაზღვეო მაგნატი, ხელოვნებისა და მეცენატობის დიდი მცოდნე. მისი მფარველობის წყალობით, ანსელმა საკუთარ თავში შემოქმედების ძალები აღმოაჩინა და საკუთარ შესაძლებლობებში მეტად დარწმუნდა. ახალგაზრდა ფოტოგრაფის პირველმა "პორტფოლიომ", ამ საქმის მცოდნეთა წრეში, დამაკმაყოფილებელი გამოსაზრება გამოიწვია. ბენდერის რეკომენდაციით, ადამსი "Roxburghe Club"-ში, მაღალი ხარისხის ბეჭდვის ასოციაციაში მიიღეს, სადაც ახალგაზრდა ფოტოგრაფმა ბევრი შეიტყო ბეჭდვის ტექნიკის, დიზაინისა და სხვათა შესახებ.

ოსტატობის სრულყოფის მიზნით, ადამსი ძალიან ბევრს მუშაობდა ფოტოგრაფიის ტექნიკის გამოკვლევაზე, ოპტიკურ ტექნოლოგიებსა და ფოტომასალის ლა-

ბორატორიულ დამუშავებაზე. ამ პერიოდში მან საფუძველი ჩაუყარა, მოგვიანებით "ანსელ ადამსის თეორიის ზონად" ფორმულირებულ შავ-თეთრ ფოტოზე ტონების წარმოების სისტემას. მისი თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი ობიექტის განათება შეიძლება 10 ზონად ან საფეხურებად გაიშალოს, ყველაზე ნათელიდან ყველაზე მუქ ტონამდე. აღსანიშნავია, რომ ექსპოზიციის "ანსელ ადამსის თეორიის ზონის" გამოყენებით გათვალა დღემდე იყენებენ პროფესიონალი ფოტოგრაფები.

1927 წელს ადამსის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაცნობობა შედგება. ის ფოტოგრაფებს - იმოჯენ კინინგს და ედვარდ უენსტონს გაიცნობს. მათ კადრის შექმნის საერთო პრინციპები - რეალურობის გამოსახვისადმი, როგორც სილამაზის გამოსახვისადმი მიდგომა და კიდევ, გადაღებისას f/64 დიაფრაგმის გამოყენება. ამ ფოტოგრაფებმა, 1932 წელს, დააფუძნეს ჯგუფი, სახელწოდებით - "f/64 ჯგუფი" ("f/64 Group"). მან უარყო "პირდაპირი ფოტოგრაფიის" (straight photography) პრინციპები და შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციამ ჩაუდგა იმ დროს პოპულარულ პიქტორალიზმს.

იმავე 1932 წელს, სან ფრანცისკოს დე იანვის მემორიალურ მუზეუმში მოეწყო ანსელ ადამსის ფოტონამუშევრების პერსონალური გამოფენა, სადაც მან 80-ზე მეტი ნამუშევარი წარმოადგინა.

ამ ფაქტის შემდეგ, ადამსმა საკუთარი ალბომიც გამოუშვა. ის "Sierra Club"-ის მიერ, აშშ-ს ნაციონალური პარკების დაცვის ბრძოლის ფარგლებში გამოიცა, ხოლო 1934 წელს, ადამსი საყვა-

რელი კლუბის ხელმძღვანელად აირჩიეს.

1933 წელს, ანსელ ადამსის ნიუ იორკში ჩასვლით მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. სწორედ ნიუ იორკში გაიცნო მან ალფრედ სტიგლიცი - ამერიკაში კულტად ქცეული ფოტოგრაფი, პირველი ავტორი იმ ნამუშევრებისა, რომლებმაც სამუზეუმო სტატუსი შეიძინეს. ასევე, დამფუძნებელი ფოტოგრაფიული ჯგუფისა - "Photo-Session", რედაქტორი ჟურნალისა "Camera Craft" და დამფუძნებელი მთელი რიგი მხატვრული გალერეებისა. მან, მართლაც, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამსზე, როგორც ფოტოგრაფზე და ასევე, მისი ფერადი ფოტოგრაფიით გატაცებაზე. სტიგლიცის მხარდაჭერით, 1933 წელს, ნიუ-იორკში ადამსის პირველი გამოფენა შედგა. 1934 წელს მან რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა ჟურნალში "Camera Craft". ასევე, გამოსცა ნიგნი - "ფოტოგრაფიის შექმნისას".

ადამსის თვალსაჩინო ყოველწლიურად ფართოვდებოდა: გადაღებების პარალელურად, ის ასრულებდა კომერციულ შეკვეთებს კომპანიისთვის Kodak, Zeiss, IBM, ATT, კონსულტანტად მუშაობდა Polaroid-სა და Hasselblad-ში, დაწერა დამხმარე სახელმძღვანელო ფოტოგრაფიის ტექნიკაზე. 30-იან წლები მის სამოცწლიან კარიერაში განსაკუთრებით პროდუქტიული და ექსპერიმენტატორულია. ამ დროს ავტორი გადაღებებს სხვადასხვა ხერხების გამოყენებით ცდილობს. ამასთან, განავრცობს ნამუშევრების თემებს.

ანსელ ადამსის ცხოვრებაში მეორე მსოფლიო ომი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა. ამ დროს ის აშშ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროში ფოტოგრაფად მუშაობდა. სწორედ ამ დროს შექმნა ფოტონარკვევი, რომელიც თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გამოიფინა, მოგვიანებით კი, გამოიცა კიდევ.

ომის დამთავრების შემდეგ, ადამსმა ხელი მიჰყო აშშ-ში ფოტოგანათლების განვითარებას და ამ საქმეში ბევრსაც მიაღწია. 1946 წელს მან პირველმა დაარსა აშშ-ში, კერძოდ კალიფორნიის ხელოვნების სკოლაში ფოტოგრაფიის ხელოვნების ფაკულტეტი, რომელსაც ფოტოგრაფი მაინორ უიტი ხელმძღვანელობდა. ყოველივე ამით, ადამსმა დიდი წვლილი შეიტანა ფოტოგრაფიის განვითარების საქმეში.


ბოლივუდში მოწევა დაიწყო

No Smoking - მოგვიწოდებს "დისნეი"

ბოლივუდში დიდი ცვლილებები - ამერიკიდან ინდური კინოს ვარსკვლავებს კადრში სიგარეტის მოწევის უფლება ექნებათ. ეს უფლება კი მათ 2006 წელს ჩამოართვეს იმ მოტივით, რომ მწველი მსახიობის დანახვა უარყოფითად მოქმედებდა მოზარდის ფსიქიკაზე - ყველა ინდოელი მსახიობი ხომ ფანების უსაზღვრო სიყვარულითაა გარემოცული, ფანები კი თავიანთ კუმირებს ბაძავენ.

როდესაც ინდოეთის კულტურის სამინისტრომ ბოლივუდის ბოსებს სიგარეტის გამოჩენა აუკრძალეს, ამას კინონიდუსტრიის წარმომადგენლებსა და საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ყველამ მიიჩნია, რომ სამინისტრო და შესაბამისად მთავრობა, უხეშად ერეოდა ინდოეთის ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ბიზნესში და იქ თავისი ნებსების დამკვიდრებას ცდილობდა. თუმცა სახელისუფლებო ძალამ მაინც გაიმარჯვა და აგერ უკვე ორი წელია ინდურ ფილმებში მწველი კი არა, სიგარეტით მოვაჭრეც არავის უნახავს.

თუმცა როგორც ეს ინდურ ფილმებში ხდება ხოლმე, გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც სამართლიანობის აღდგენის მისია ჰქონდა დაკისრებული და ერთი დარტყმით ყველა მტერი დაამარცხა. 2008 წლის თებერვალში რეჟისორმა მაჰემ ბჰატამ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლითაც ორი წლის წინანდელი აკრძალვის გაუქმებას მოითხოვდა. ბჰატს დაახლოებით სამი სასამართლოს გამოცვლა მოუხდა, ვიდრე სამართლის იპოვნიდა, საბოლოოდ კი მას ნიუ დელის სასამართლოში მიავიწოდეს, რომელმაც ეს აბსურდული აკრძალვა გააუქმა. "კინო თავისუფალი ხელოვნებაა და არავის, მით უფრო ხელისუფლებას, არ აქვს უფლება თავისი წესები დაგვიკანონოს. დღეს სიგარეტის გამოჩენა აკრძალეს, ხვალ კი ალბათ სხვა აკრძალვას მოიგონებენ. სიგარეტი უბრალო დანაშაულია, რომელიც ხშირად პერსონაჟის ხასიათის გასახსენლად და საჭირო. ამიტომ ჩვენი უფლებებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ", - აღნიშნა პრესასთან მაჰემ ბჰატმა.




იგივე მოტივი ჰქონდა სტუდია "დისნეისაც", როდესაც მწველი ადამიანების გამოჩენა თავის საოჯახო ფილმებში აკრძალა. ეს წესი უკვე მეორე წელია მოქმედებს და ფსიქოლოგების აზრით სრულიად გამართლებულია. "დისნეის" საოჯახო ფილმების მატყურებლები ბავშვები და მოზარდები არიან. მათი გავლენის ქვეშ მოქცევა კი ძალიან იოლია. "დისნეი" ანტინიკოტი-

ნურ კამპანიას DVD-ებზეც განაგრძობს და იმ ძველი ფილმების კადრში, სადაც მწველი ადამიანი ჩანს, სპეციალურ ბანერებს ამონტაჟებს. "დისნეიმ" ეს გადაწყვეტილება მის მიერ ორგანიზებული სოციოლოგიური კვლევების შედეგების გაცნობის შემდეგ მიიღო. აღმოჩნდა, რომ ის მოზარდები, ვინც ეკრანზე სიგარეტის მოწევის პროცესს უყურებენ, ცდილობენ, თავადაც სცადონ ამის გაკეთება. ეკრანზე მწველი ადამიანე-

ბის გამოჩენასთან დაკავშირებით 2004 წელს პოლივუდში დიდი აჟიოტაჟი იყო ამტყდარი. ამერიკის სენატი აქტიურად განიხილავდა 18 წლამდე ასაკის მაყურებლისთვის განკუთვნილ ფილმებში სიგარეტის გამოჩენის აკრძალვას, თუმცა მაშინ მსახიობთა გილდია გააქტიურდა, რომელმაც დაარწმუნა სენატორები, რომ რეჟისორი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს, როგორ წარმოაჩინოს პერსონაჟის ხასიათი.

არტუვასტი

მღაბავი ეიფელის კოშკზე



მარკ რიბუ, რომელიც ანრი კარტიე-ბრესონის გარდაცვალების შემდეგ ფოტოსააგენტო "მაგნუმის" სახეს წარმოადგენდა, ფრანგული ფოტოგრაფიის პატრიარქი და XX საუკუნის დიდებული ფოტოგრაფების პლადის წარმომადგენელია.

რიბუმ, განათლებით ინჟინერმა, კარიერის დასაწყისში ერთკვირიანი შევებულება აიღო, რათა ლიონის თეატრალური ფესტივალი გადაეღო. ამის შემდეგ, ის ძველ საქმიანობას აღარ დაბრუნებია. 1953 წელს მან შეაბიჯა ფოტოსააგენტოში - "მაგნუმში", 1977 წელს კი, მისი ვიცე-პრეზიდენტი გახდა.

მარკ რიბუ ბევრს მოგზაურობდა, მოიარა თითქმის მთელი მსოფლიო. მას განსაკუთრებით იზიდავდა ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ვიეტნამი, ანუ შესუსნაველი მიწები, რომლებიც ევროპელებმა 60-იანი წლების დასაწყისში ფოტოგრაფების დახმარებით აღმოაჩინეს.

რიბუ ყოველთვის იქ იყო, სადაც კონფლიქტები მნიშვნელოვანია, მაგალითად: პარიზში, 1968 წლის სტუდენტური რევოლუციისას, ვიეტნამსა და ავღანეთში, საომარი მოქმედებების დროს... შესრულების ტექნიკის, დეტალების დანახვის ცოდნისა და საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩენის გარდა, რიბუს ფოტოები ზომიერების გრძობითაც გამოირჩეოდა, რაც ოსტატს საშუალებას აძლევდა უცნაურობები, უხერხულობები და ადამიანური ცხოვრების ტრაგიზმიც კი დაენახა.

"მე ვიხსენებოდი ადამიანებთან ახლოს მისვლის შიშსა და იმ, რაღაც, უხილავ ძალას შორის, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ მაიძულებდა მივახლოვებოდი და ყურადღებით შემეხედა მათთვის", - წერდა რიბუ.

ამ ფოტოგრაფის ნამუშევრებში XX საუკუნის გაცილებით მნიშვნელოვანი ეტაპები აისახა. თუმცა, კადრი, რომელიც მან "მაგნუმში" განვერიაინების პირველ ხანებში გადაიღო და რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა, გადაღებულია პარიზის შუაგულში, ეიფელის კოშკზე. ფოტოზე ალბეტილია მღაბავი ფუნჯით ხელში, რომელიც საფრანგეთის სიმბოლოდ მიჩნეული კოშკის ლითონის კონსტრუქციებზე, რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე დგას და უდარდელად "სეირნობს".

"მღაბავი, რომელსაც ზაზუს ეძახდნენ, ძალიან მხიარული ადამიანი გახლდათ. ის საკუთარი სიამოვნებისთვის მუშაობდა, თან ლილინებდა... ჩემი აზრით, ფოტოგრაფი, აი, ზუსტად ასე უნდა მუშაობდეს - მსუბუქად ჩაცმული, მინიმალური დაძაბულობით. მე თავბრუსხვევა მენყებოდა და თვალებს ვხუჭავდი, როდესაც მღაბავი საღებავში ფუნჯის დასასველებლად იხრებოდა", - იხსენებდა რიბუ.

ეს ფოტო პარიზის ერთ-ერთ ლეგენდარულ გამოსახულებად იქცა. და აი, ასე დაიწერა კიდევ ერთი გვერდი მსოფლიო ფოტოხელოვნების ისტორიისა.

დავა ჩაძირული ხომალდის გამო

სულ მალე, სამი ქვეყანა - რუსეთი, ფინეთი და ნიდერლანდები, შესაძლოა ერთმანეთის კონკურენტები გახდნენ საკითხში, რომელიც 1771 წელს, ბალტიის ზღვაში ჩაძირულ შხუნას, სახელწოდებით - "ფრაუ მარია", უკავშირდება. სანამ მხარეები ერთმანეთში ტვირთის გაყოფის თაობაზე არ მოილაპარაკებენ, ისტორიული ორანდიანი შხუნა ფსკერიდან არ დაიძვრება.

რუსეთის კულტურის დაცვის ხელმძღვანელის - ალექსანდრე კიბოვსკის სიტყვებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ალექსანდრე კიბოვსკი აცხადებს, რომ "ფრაუ მარია" ტვირთის საფასური რუსეთის მხარის მიერ იყო გადახდილი, შესაბამისად "რა პრეტენზიები უნდა ჰქონდეს მასზე ნიდერლანდებს, ცოტა გაუგებარია", - ამბობს ის.

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, შხუნას პეტერბურგში



ეკატერინე მეორეს მიერ, ზამთრის სასახლისთვის შეკვეთილი ნახატებისა და ფაიფურის ტვირთი მიჰქონდა. საარქივო მონაცემების თანახმად, პეტერბურგში უნდა ჩასულიყო ფერწერული ნა-

მუშევრების კოლექცია, რომელიც ჰერარდ დოუს, გაბრიელ მეტიუს, ჰერარდ ტერ ბორხისა და სხვა ნიდერლანდელ ფერმწერთა ტილოებს მოიცავდა. ეს გემი მოჰყვა ლელვაში,

რომელსაც ვერ გაუძლო და 1771 წლის 9 ოქტომბერს ჩაიძირა სანაპიროსთან ახლოს, რომელიც მაშინ შეედგინა ეკუთვნოდა, ახლა კი - ფინეთს. იმ დღიდან მოყოლებული, "ფრაუ მარია" იმყოფება ზღვის ფსკერზე, რომლის შორიანხლოსაც მდებარეობს კუნძული იურმო (ნაციონალური პარკის "სამხრეთ-დასავლეთის არქიპელაგი" ტერიტორია).

არსებობს მოსაზრება, რომ სურათები, რომლებიც ეკატერინე მეორესთვის შეიძინეს, ყუთებში კი არ იყო მოთავსებული, არამედ ტყეის კოლებში, რაც იმედს იძლევა, რომ ტილოები, წყლის მიერ, მთლიანად განადგურებული არ არის. თუმცა, "სანამ ყველაფერი არ გაიყოფა, ადგილიდან არაფერი დაიძვრება", - აცხადებს ალექსანდრე კიბოვსკი. მოლაპარაკებების დამაკმაყოფილებლად წარმართვის შემთხვევაში, სპეციალისტები გემს 2010 წელს ამოიღებენ.

"მელოდია 2009" კახეთში სტარტს იღებს

თელავის კულტურის სახლის შენობაში საესტრადო კონკურს-ფესტივალის "მელოდია 2009"-ის პრეზენტაცია გაიმართა. როგორც რადიო "ჰერეთს" კონკურსის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ირაკლი შაშიაშვილმა განუცხადა, "პროექტში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა 6-დან 16 წლამდე მოზარდებს აქვთ, რომლებიც ამა წლის 31 იანვარს კონკურსის სახით თბილისში გამოვლინდებიან".

პროექტში მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდებს ის "ჯეოსტარტები" მოუწოდებდნენ, რომლებიც ფესტივალ "მელოდიის" ყოფილი კონკურსანტები არიან.

პროექტის გამარჯვებული მონაწილეების დაჯილდოება 1 ივნისს, ბავშვთა დღის საერთაშორისო დღეს გაიმართება. **მედიანუსი**

12 თებერვალს ანსამბლი "ბასიანი" სოლო კონცერტს გამართავს

12 თებერვალს ანსამბლი "ბასიანი" სოლო კონცერტს გამართავს. ამის შესახებ "ბასიანის" ხელმძღვანელმა, გიორგი დონაძემ განაცხადა. კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება.

გიორგი დონაძის განცხადებით, კონცერტზე ასევე გაიმართება ანზორ ერქომაიშვილის წიგნის პრეზენტაცია, რომელიც 1901-1914 წლებში "გრამაფონის" მიერ ჩანერილ ქართულ უნიკალურ ფოლკლორულ სასიმღერო ნიმუშებს შეეხება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნარიმანოვის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქციისთან დაკავშირებული შეთანხმება

აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, თბილისში მდებარე ნარიმან ნარიმანოვის სალ-მუზეუმს რეკონსტრუქცია ჩაუტარდება. ამის შესახებ ერთობლივ შეთანხმებას, ბაქოში, მიმდინარე წლის 3 იანვარს მოეწერა.

საქართველოს მხრიდან საერთაშორისო დოკუმენტს ხელი მოაწერეს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ, თბილისის მერმა გიგი უგულავამ და კომპანია "პოლიტ.შ."-ის დირექტორმა შოთა ეგვინიძემ. აზერბაიჯანის მხრიდან დოკუმენტი ხელმოწერია - კულტურისა და ტურიზმის მინისტრის აბულფაზ გარაევის მიერ. აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროში გამართულ ხელმოწერის ცერემონიაზე, ქართულ მხარეს ასევე წარმომადგენდნენ, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ გამილაგადიშვილი და საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში ნიკოლოზ ნათბილაძე, ხოლო აზერბაიჯანულს - კულტურისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე სევდა მამედალიევა, საერთაშორისო ურთიერთობების და კულტურული პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი ნაზიმ სამედიოვი და სამუზეუმო სექტორთან მუშაობის განყოფილების გამგე აზადა ჰუსეინოვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

5 ყველაზე ძვირადღირებული ქანდაკება

ინტერნეტპორტალმა ARTInvestment-მა ბოლო 3 წლის განმავლობაში გაყიდული ყველაზე ძვირადღირებული ქანდაკებების სია გამოაქვეყნა. სიის ლიდერი დემიენ ჰერსტის ნამუშევარია - "ლმერთის სიყვარულის სახელით". მისი ღირებულება 100 მილიონი დოლარია. პრილიანტებითაა მოჭედული პლატინის თავის ქალა, რომელიც პერსტმა გალერეა "ვაით ქუბში" 2007 წლის შემოდგომაზე გამოიტანა, 50 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. ლოტი საბოლოოდ ინვესტორთა ჯგუფმა შეიძინა, რომელშიც თავად სკულპტორიც შედის. მეორე ადგილს უცნობი ავტორის ნამუშევარი "გუენოლის ძუ ლომი" იკავებს. 8 სანტიმეტრი სიმაღლის ქანდაკება შესოპოტამიაში, დაახლოებით 5 ათასი წლის წინ შეიქმნა და მისი ღირებულება 51,2 მილიონი დოლარია. "სოთბის" აუქციონზე ქანდაკების ღირებულება 3-ჯერ გაიზარდა და უძველესი ხელოვნების ყველაზე ძვირადღირებულ ნიმუშად ითვლება. 29, 2 მილიონად შეფასებული პაბლო პიკასოს "ქალის თავი", სიაში მესამე ადგილზეა. პაბლომ ამ ქანდაკებით საკუთარი სატრფო, დორი მარი უკვდავყო.

იმის მიუხედავად, რომ პიკასო კუბისტურ, სამგანზომილებიან პორტრეტებს ხატავდა, მხატვრის სკულპტურული ნიჭი "სოთბის" აუქციონზე საკმაოდ ძვირად შეფასდა. მეოთხე ადგილზეა უცნობი სკულპტორის "არტემიდა შევლთან", რომლის ღირებულებაც 28,6 მილიონი დოლარია. ნამუშევარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი და ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნეების მიჯნაზეა შექმნილი. 2007 წლის 7 ივნისს, ნიუ-იორკში, "სოთბის" აუქციონზე სკულპტურისათვის სამი მყიდველი იბრძოდა რის შედეგადაც ნამუშევრის ღირებულება 4-ჯერ გაიზარდა. სიაში მე-ოთხე ადგილი ალბერტ ჯაკომეტის ნამუშევარი "დიდი ფეხზე მდგარი ქალი -2" უკავია. ქანდაკების ღირებულება 27,5 მილიონი დოლარია. ქალის 3 მეტრის სიმაღლის ბრინჯაოს ფიგურა ფოტოზე საკმაოდ სათუთია. ჯაკომეტიმ ქალის გამოსახულება 4 ეგზემლარად გამოქანდაკა "ფეხზე მდგარი დიდი ქალი 2" კი, მათ შორის ყველაზე მაღალია. სკულპტურა მსოფლიო ბიზნესის ზვიგენმა, ლარი გაგოსიანმა შეიძინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ქართული აგვისტოს ქრონიკა"

დოკუმენტური ფილმის "ქართული აგვისტოს ქრონიკა" ნახვის საშუალება მალე საქართველოს ფარგლებს გარეთაც ექნებათ. დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია გუშინ, 22 იანვარს "კინოს სახლში" გაიმართა. როგორც ფილმის ავტორმა, ტელეკომპანია "ალანას" მთავარმა რედაქტორმა ია ბარათელმა განაცხადა, ფილმი რუსულ ენაზე სპეციალურად გაკეთდა, რათა შემდგომში საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიდეს. ფილმში გამოყენებულია როგორც "ალანას" მიერ გადაღებული კადრები, ასევე საომარი მოქმედებების ამსახველი ისეთი ვიდეომასალა, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ჯერჯერობით ცნობილი არ იყო. ფილმი ტელეკომპანია "ალანას" ეთერში დღეს, 24 იანვარს 20:00 სთ-ზე გავა. მისი ნახვა მსურველებს ტელეკომპანიის ვებგვერდზეც შეეძლება. **პირველი**

მსოფლიო ფორუმი - მსოფლიო ფილმები

საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულები უკვე დასახელდა



ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილმასშტაბიანი დამოუკიდებელი კინოს ფორუმების საერთაშორისო კინოფესტივალის, პრემია - "სანდენსის" (Sundance) 25 ლაურეატი დასახელდა. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია შაბათს საღამოს, იუტას შტატის ქალაქ პარკ-სითიში გაიმართება. ამერიკული წარმოების საუკეთესო კინოდრამად 2009 წელს ფილმი "ზენოლა" დასახელდა, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში გარლემში მცხოვრები ადამიანის მიმე ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. აღნიშნულმა ფილმმა უკვე მიიღო ორ ნომინაციაში პრემია - აუდიტორიისგან და დიდი ჟიურისგან. ჟიურის ჯილდო მიიღო ასევე ამერიკული წარმოების დოკუმენტური ფილმი "საზოგადოებრივი ცხოვრება", რომელიც ინტერნეტ-კულტურის პიონერის

რის ჯოშ ჰარისის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. ამერიკული დოკუმენტალური ფილმისთვის აუდიტორიის პრიზი, ფილმ "კლდეებს შორის" ერგო.

ჟიურის პრემია ნომინაციაში "საუკეთესო დრამა: მსოფლიო კინო", ფილმი "მოსამსახურე"-მ მიიღო. ფესტივალის აუდიტორიამ საუკეთესო კინოდ "ფორ-

მირება" მიიჩნია. კატეგორიაში "საუკეთესო დოკუმენტალისტიკა: მსოფლიო კინო" აღნიშნული იყვნენ ფილმები: "ავლანური ვარსკვლავი" და "უხეში დეიდები".

ამ წელს "სანდენსის" ჩვენებაზე მონაწილეობას იღებდნენ 118 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და 96 მოკლემეტრაჟიანი ფილმი 21 ქვეყნიდან. ისინი მთელი მსოფლიოდან წარმოდგენილი 3661 ფილმიდან იქნა შერჩეული. ფესტივალის ჩარჩოებში 87 მსოფლიო და 19 ჩრდილოეთამერიკული ფილმიც იქნა წარდგენილი.

ფორუმის ორგანიზატორი "სანდენსის ინსტიტუტი" გახლავთ, რომელიც 1981 წელს ცნობილმა კინოსახიობმა რობერტ რედფორდმა დააარსა. აქ მთავრად როგორც ცნობილი ოსტატების მიერ შექმნილი ნამუშევრები, ისე დამწყები რეჟისორების გადაღებული ფილმები.

"გერნიკას" ასლს ნიუ იორკიდან ლონდონში გადაიტანენ

პაბლო პიკასოს ნამუშევარის - "გერნიკა" - ზუსტ ასლს, რომელიც გობელენზეა შესრულებული, ნიუ იორკის უმიშროების შენობას დატოვებს და ლონდონის გალერეაში - "Whitechapel Gallery" გამოიფინება.

აღნიშნული ნამუშევარი როკფელერების ოჯახის საკუთრებაა და უმიშროების შენობაშიც მათი თანხმობით იყო ექსპონირებული. ლონდონში "გერნიკას" ჩვენება მარგარეტ როკფელერის მიერ არის სანქციონირებული. ამას "The Guardian"-ი გვამცნობს.

"Whitechapel Gallery" 2009 წლის აპრილში, რემონტის შემდეგ, გაიხსნება და "გერნიკა" გახდება მნიშვნელოვანი ნაწილი ინსტალაციისა, რომელიც გერმანელი მოქანდაკის - ისა გენცკენის (Isa Genzken) მიერ



არის შექმნილი. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი ეძღვნება ლონდონში

ორიგინალური "გერნიკას" ერთადერთი ჩვენების წლისთავს - 1939 წელს, პიკასომ ის დიდ

ბრიტანეთში ჩაიტანა და სწორედ "Whitechapel Gallery"-ში გამოიფინა.

პაბლო პიკასომ "გერნიკა" 1937 წელს, გერმანული და იტალიური ავიაციის მიერ ბასკების ქალაქ გერნიკას დაბომბვის შემდეგ შექმნა. ომის საშინელებების ამსახველ ტილოს მხატვარი მთელი მსოფლიოში ატარებდა, თან ირწმუნებოდა, რომ ამ ნამუშევარს ესპანეთში მანამდე არ ნახავდნენ, სანამ იქ დიქტატურა იმეფებდა.

1981 წელს, გენერალ ფრანკოს გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ, ეს ტილო დეოფალ სოფიას მადრიდის მუზეუმს გადაეცა. ბასკები ამ ნახატის გერნიკაში ჩვენებას ითხოვენ, მაგრამ ხელოვნებათმცოდნეები თვლიან, რომ გადაადგილება ტილოს ძლიერ დააზიანებს.



სპორტი

ქართველთა ჰინდუისტიანი მღვა ადმონიონი

"ჩელენჯ ქაფს" კი მხოლოდ ხინჩაგაშვილმა უნია



ზირაქაშვილის "კლერმონისის" მოგებას წარუმატებელი აღმონიონი

ჰინდუისტიანი თასზე ჯგუფური ეტაპის მატჩები ისე დასრულდა, რომ ფრანგულ კლუბებში მოთამაშე ქართველი ლეგიონერები მეოთხედფინალს მღვა აღმონიონი.

ქართველთა სამი კლუბიდან ბოლო ტურის წინ პლეი-ოფში გასვლის მცირე შანსი მხოლოდ დავით ზირაქაშვილის "კლერმონს" ჰქონდა, მაგრამ ინგლისში, "შარქსთან" 17:26 ნაგების შემდეგ შანსი გამოუყენებელი დარჩა. მანამდე კი, უფრო სწორად, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, კლერმონელებს მოგება სჭირდებოდათ, ამასთან ისე, რომ მეტოქის ჩასათვლელ ხაზზე ოთხი ლელო უნდა დაედოთ, რაც დამატებით პრემიალური ქულის მომტანი იქნებოდა. გარდა ამისა, ჯგუფში პირველ ადგილზე მყოფი "მიუნსტერი" სტუმრად "მონტობანთან" დიდი სხვაობით უნდა დამარცხებულიყო. მომდევნო ეტაპზე გასვლის ასეთი ვარიანტები "კლერმონს" სხვაც ჰქონდა: ზირაქაშვილი და კომპანია მეორე ადგილზე გასული ორიდან ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი უნდა გამხდარიყო, მაგრამ აქაც ხელი მოეცარათ.

გამარჯვებისა და პრემიალური ქულის აღების შემთხვევაში ფრანგები მეოთხედფინალში მაინც ვერ გააღწევდნენ. საქმე ის არის, რომ "კლერმონი"- "შარქსის" პარალელურ შეხვედრაში "მიუნსტერმა" გაიმარჯვა. დანარჩენ ჯგუფებშიც მოვლენები ზირაქაშვილის გუნდის საინააღმდეგოდ განვითარდა - "ოსპრეიმ" მოიგო, ხოლო "ტულუზმა" ფრეს მიაღწია. ამ უკანასკნელთ 20-20 ქულა დაუგროვდათ და პირველ ადგილზე მყოფ "მიუნსტერთან", "ლინსტერთან", "ლუკასტერთან", "არლეკინსთან", "ბათთან" და "კარდიფთან" ერთად მეოთხედფინალში გავიდნენ.

ერთი სიტყვით, "შარქსთან" ნაგების შემდეგ კლერმონელები მეორედან მესამე საფეხურზე ჩამოქვეითდნენ.

ამავე ჯგუფში საკუთარ მოედანზე ჰინდუისტიანი თასის გათამაშების ჩემპიონ ირლანდიურ "მიუნსტერთან" 13:39 დამარცხდა გოდერძი შველიძის "მონტობანი". გათამაშების დებიუტანტმა კლუბმა ტურნირი ცხრილის ბოლო ადგილზე დაასრულა.

მეორე ჯგუფში აქსენტი გიორგაძის "კასტრმა" საკუთარ

მოედანზე ლონდონის "ვაპსი" 21:15 დაამარცხა, მაგრამ ჯგუფში ბოლო ადგილს თავი მაინც ვერ დააღწია.

მეოთხედფინალური შეხვედრები ასევე აქტუალური იყო ჩელენჯ ქაფ-ის (ევროპის მეორე საკლუბო გათამაშება) ოთხი ფრანგული კლუბისთვის. ფრანგულ კლუბებს არც ამ შემთხვევაში ვახსენებდით რომ არა, საქართველოს უმთავრესი გუნდის წევრთა და კანდიდატთა თამაშები.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, მეოთხედფინალში თამაშის უფლება მხოლოდ დავით ხინჩაგაშვილის "ბრივმა" მოიპოვა.

"ბრივს" კი მარტივი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი - იტალიურ "პარმასთან" დიდი ანგარიშით არ დამარცხება. იმარჯვეს კიდევ - 29:13 და ფლეი-ოფშიც გააღწიეს.

სხვათა შორის, ჯგუფური ეტაპზე ხინჩაგაშვილის გუნდმა ერთადერთი შეხვედრა სწორედ პარმასთან ნაგო და პირველი ტურის ჯავრი იტალიელებზე ბოლო შეხვედრაში იყარა.

მეორე ჯგუფში, სტუმრად,

"ბრისტოლთან" 14:25 დამარცხდა "მონპელიეს" საქართველოს 2008 წლის საუკეთესო მორაგბე მამუკა გორგოძე. მართალია, "მონპელიეს" ხელმძღვანელობა ჩელენჯ ქაფზე მალაღ მიზნებს არც ისახავდა, რის გამოც, მწვრთნელმა ქართველი მორაგბე TOP 14-ის თამაშებისთვის შემოინახა და განაცხადადმე საერთოდ არ შეიყვანა, მაგრამ მაინც.

ამავე ჯგუფში მოთამაშე გაილაბაძის და დავით ქუბრაიშვილის "ტულონი", ბრიტანულ "ნორთჰემპტონთან" სტუმრად 11:52 განადგურდა, ხოლო ქართველი მორაგბეები განაცხადადმე ვერ მოხვდნენ.

ირაკლი გიორგაძის "დაქს-მა" "კონაჩთან" სტუმრად ასევე დიდი ანგარიშით ნაგო - 3:49. ეგაა, ქართველი ლეგიონერი გუნდის განაცხადადმე არ ყოფილა.

მეოთხედფინალში ხუთივე ჯგუფის პირველადგილოსნები - "ლონდონ აირიში", "ნორთჰემპტონი", "ვორკასტერი", "ბრივი" და "სარასენზი" გავიდნენ, საუკეთესო მეორეადგილოსნებიდან კი, მათ "კონაჩტი", "ნიუკასლი" და "ბურგონი" დაემატნენ.



დავით კოვზირიძის სჯი

ჭაჭვი, როგორც მღვა განხვეტილია

იმისთვის, რომ ფეხბურთი ითამაშო, ხუთი რამაა საჭირო და სანამ ჩამოვთვლიდე, განვმარტოთ, რა იგულისხმება ფეხბურთის თამაშში. ამ შემთხვევაში იმაზე არაა ლაპარაკი, სახლში რომ ხარ ნამოკვთრიალბული, მეზობელი რომ შემოგძახებს, ნამო, ბურთი გავაგოროთო და სიგარეტის ფულით რომ გადადიხარ სტადიონზე. არა, პროფესიონალურ ფეხბურთზეა საუბარი, ოღონდ გარკვეული ხარისხით. მოდი, საშუალო ევროპული დონე დავარკვეთ.

მაშ ასე, განვიხილოთ ის ხუთი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ფეხბურთის, სულ მცირე, საშუალო ევროპულ დონეზე სათამაშოდ. ესენია: ნიჭი, პროფესიონალიზმი, პირობები, ამბიციაცია და გამართლება. აქვე იმაზეც შევთანხმდეთ, რომ ამ ჯაჭვიდან ერთ-ერთი რგოლის ამოვარდნისას ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში პროცესი ჩერდება.

ჯაჭვის ეფექტურობა გეოგრაფიაზე, ისტორიასა და კულტურაზე არ არის დამოკიდებული, რადგან ის ბრაზილიაში, მონტელოტოში, ჩრდილოეთ კორეასა და საქართველოშიც ერთნაირად მუშაობს. თუმცა პატარა-პატარა განსხვავებები მაინც არსებობს - ბრაზილიაში ნიჭი ოხრადაა და პროფესიონალიზმი ნაკლებად, გერმანიაში პირიქით, ნიგერიაში პირობები არ ვარგა, ტოგოში ამბიციაცია აკლიათ და ასე შემდეგ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? რატომ არ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც, სულ მცირე, საშუალო ევროპულ დონეზეც ვერ თამაშობენ? ჯაჭვის რომელი რგოლია ყველაზე პრობლემური და რა უნდა გაკეთდეს, რომ პრობლემა მოგვარდეს? ამ კითხვებს აუცილებლად უნდა გავეცეს პასუხი, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რაზეც პასუხებში იქნება ლაპარაკი.

დავინწყით ნიჭით. ნიჭი თანდაყოლილი რამაა, ადამიანში დაბადებისთანავე დევს და მერე ძირითადად მასზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებს. ჩვენ, ქართველებმა, ოცი საუკუნის განმავლობაში ვერ შევიგნეთ, რომ ნიჭის გამოყენებასაც ნიჭი უნდა და შედეგად მივიღოთ შემადარსებელი ლოზუნგი, რომელზეც ხშირად გვისაუბრია: ვართ ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები! საფეხბურთო თვალსაზრისით, შეიძლება ვილატაზე ნიჭიერები ვართ, ვილატაზე - უნიჭოები, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი ბავშვი ბევრად უკეთესად თამაშობს, ვიდრე ქართველი კაცი. ანუ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ნიჭი, რომელიც კუნთითაა: 1. არ მუშაობს, 2. არასწორად მუშაობს. შედეგად ხდება ატროფია და ზღაპარიც მთავრდება.

რა არის ამის ანტიოპტიკი? ალბათ, სხვადასხვა დოზით შრომაც, პირობებიც, ამბიციაც და ფორტუნაც. აქედან მთავარი, რა თქმა უნდა, პროფესიონალიზმი, ყველაზე დეფინიტიური თვისება საქართველოში. ოღონდ შრომასაც აქვს თავისი კალაპოტი, მით უმეტეს, ისეთ სპეციფიკურ სფეროში, როგორც ფეხბურთია. და სწორედ გამართული მუშაობის ერთ-ერთი საინდარია პირობები, რომელიც არა მარტო ინფრასტრუქტურული სერვისი იგულისხმება, არამედ ადამიანური რესურსიც, ანუ მალაკვალიფიციური მწვრთნელი. მცოდნე კაცმა ნიჭიერ ბავშვს სწორი დავალებები და მიმართულება უნდა მისცეს, ნიჭიერმა ბავშვმა კი არ უნდა იზარმაცოს. ვინაშეა მარტივი, მისი პრაქტიკაში გადაყვანა კი რთული, ვინაშეა არსებობს როგორც პროფესიონალი მწვრთნელები და გამართული ინფრასტრუქტურის, ისე პროფესიონალიზმი ტალანტების თავზარდაცემი ნაკლებობა.

მივედით ამბიციამდე. დედამინის ზურგზე არ არსებობს უამბიციო პროფესიონალი. მაშინ ამბიციონალი არაპროფესიონალი ვინდა? ესაა ადამიანი, რომელმაც ბევრი არაფერი იცის, მაგრამ აქვს პრეტენზიები, რომ იცის. მივიხედ-მოვიხედოთ, გარშემო ათასობით მაგალითი გვყავს. მათ შორის ფეხბურთელებიც, რომლებიც ევროპაში, ანუ პროფესიონალურ გარემოში, თავს ძალიან ცუდად გრძობენ და პროგრესზე ვერც ფიქრობენ, აქ კი, იცოცხლე, ენას არ აჩერებენ. საქმეც ეგ ჩვენთან შეთანხმებისთვისაა, საქმით საქართველოში ოდითგანვე იმეფათად ფასდებოდა ხალხი. თუმცა არსებობენ ისეთებიც, ვისაც რეალურად შეუძლია რაღაცის კეთება, გარკვეულ დონეს აკმაყოფილებს, მაგრამ ამბიციას კარგავს, მიღწეული მინიმუმით კმაყოფილდება.

რაც შეეხება ფორტუნას - თუ არაფერს აკეთებ, ლოგიკურად ისიც გამოიყვლება, რომ პროფესიონალი თვალსაზრისით გაგიმართლოს. მაგალითად, თუ ფეხბურთის თამაშში არ გამოდიხარ, გამოიცილება ბედმა გავილიშოს და "ბარსელონამ" გიყიდოს, მაგრამ შეიძლება ერთი ლატარიის ბილეთი იყიდო და ასი მილიონი მოიგო. ეს ძალიან გრძელი და რთული თემაა, ამიტომ ნუ განავრცობთ. უბრალოდ, შევთანხმდეთ, რომ ძირითადად უმართლებს იმას, ვინც ხელს, ფეხს და ტვისს ანძრევს და არა იმას, ვინც ყოველდღე კითხულობს, გვემელება თუ არა რამე.

მომავალ სამუშაოთადად

მოურიანიოს ფავორიტი "ლივერპულია"

მილანის "ინტერის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურიანიო მიიჩნევს, რომ მიმდინარე სეზონში "ლივერპულს" პრემიერლიგის მოგება შეუძლია.

"ლივერპული" თამაშის ყურება მაინტერესებს. ამ გუნდს აქვს ყველაფერი, რაც ჩემპიონობისთვის არის საჭირო. დღემ-

დე ვერ გავიგე, ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში ვერც ერთხელ რატომ ვერ მოიგო პრემიერლიგა. ფიქრობ, წლეულს ლივერპულელები გამარჯვებას იხეიებენ. როდესაც ჩემპიონთა ლიგა იწყება, "ლივერპული" ინგლისის პირველობაზე კონცენტრაციას ასუსტებს. მერსისაიდე-

ლები წარმატებულად ასპარეზობენ ევროთასის გათამაშებაზე, მაგრამ პრემიერლიგაში ბევრ ქულას კარგავენ. მიმდინარე სეზონშიც მათ უკვე 10 ქულა დაკარგეს. მათ რომ "სტოკთან", "ფულემთან", "ვესტ ჰემთან", "შალთან" და "ვერტონთან" მოეპოვებინათ გამარჯვებები, სა-

ტურნირო ცხრილის ლიდერები იქნებოდნენ", - განაცხადა მოურიანიომ, რომელიც მილანურ კლუბში გადასვლამდე რამდენიმე წლის განმავლობაში ლონდონის "ჩელსის" თავკაცი იყო და ძალიან კარგად იცნობს "ლივერპულსაც" და, ზოგადად, ინგლისის პრემიერლიგასაც.

"ხიზანას" ახალი იმედი

ზურაბ ხიზანიშვილს "ბლექბერნ როვერსის" ახალი მთავარი მწვრთნელის სემ ულარდაისის იმედი აქვს. 27 წლის საქართველოს ნაკრების მცველმა დადებითად შეაფასა უკვე ყოფილი მწვრთნელის პოლ ინსის გადაყენების ფაქტი და მის ადგილას გამოცდილი ულარდაისის დანიშვნა. "ულარდაისმა გუნდში ახალი აზროვნება და ახალი ტაქტიკა მოიტანა, რამაც მეტად გამოგვაცოცხლა. ინსის პერიოდში გუნდი ფსიქოლოგიურად მძიმედ გამოიყურებოდა, რაც ჩვენი ნარეუმატებლობების მთავარი მიზეზი იყო. თუმცა ახალი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ქულების დაგროვებასაც დავინწყებთ", - განაცხადა ხიზანიშვილმა, რომელსაც ინსის მწვრთნელობის პერიოდში იშვიათად უწევდა მოედანზე გასვლა. "ბლექბერნ როვერსი" მე-17 ადგილზე ინგლისის პრემიერლიგის სატურნირო ცხრილში და ძალზე ახლოსაა გასაყვარდნ ზონასთან.

თარხნიშვილმა დსთ-ს თასი აიღო

ვაჟა თარხნიშვილი დსთ-ს თანამეგობრობის თასის გამარჯვებული გახდა - მოსკოვში გამართული ტურნირის ფინალში ქართველი მცველის კაპიტნობით მოლდოვურმა "შერიფმა" ყაზახურ "აკტობეს" პენალტების სერიაში სძლია - 5:4. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ - 1:1 დასრულდა, რის შემდეგაც ჩემპიონის გამოსავლენად საჭირო გახდა თერთმეტმეტრიანების დარტყმა. უფრო ზუსტი "შერიფი" აღმოჩნდა და თასიც ტირასპოლურმა კლუბმა დაისაკუთრა. 36 წლის გამოცდილმა თარხნიშვილმა ზუსტად შეასრულა თავისი თეთმეტმეტრიანი.

ქეცხაიას მარცხი

კვიპროსის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის ცენტრალურ მატჩში თემურ ქეცხაიას "ანორთოსისი" ნიქოზიის "ომონიასთან" 1:2 დამარცხდა და ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა გაირთულა. ფამაგუსტელთა რიგებში თავი გამოიჩინა ბრაზილიელმა სავიომ, ხოლო "ომონიას" ლიდერმა ალონეფტისმა დუბლი მიითვალა. "ანორთოსისის" ქართველმა ფორვარდმა კლიმენტი ნიტიანიშვილმა მინდორზე პირველი 45 წუთი დაჰყო, შემდეგ კი გოლის ავტორ სავიოს დაუთმო ადგილი. "ომონიას" 48 ქულა მოუგროვდა და "აპოელთან" ერთად ლიდერობს. ქეცხაიას გუნდი კი 44 ქულით მესამეა.

"რომამ" ვუჩინიჩი არ გაყიდა

"რომამ" უარი უთხრა მადრიდის "რეალს" ჩერნიგორის ნაკრების ფორვარდის მირკო ვუჩინიჩის მიყიდვას. საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის ლიდერი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ფაზაში საუკეთესო ფორმაშია და მრავალი ევროპული კლუბის ინტერესს იწვევს. ესპანელები მზად იყვნენ გრანდიოზული თანხა - 30 მილიონი ევრო გადაეხადათ 25 წლის თავდამსხმელში, მაგრამ რომაულმა კლუბმა ფინანსური კრიზისის პირობებშიც გაუძლო ცდუნებას და ვუჩინიჩი არ გაყიდა.

ბესონოვმა ისრაელში სამივე ქართველი წაიყვანა

დნეპროპეტროვსკის "დნიპრო", რომლის ღირსებას იცავენ ქართველი ფეხბურთელები - ჯაბა კანკავა, სანდრო კობახიძე და ბექა გოცირიძე, შეკრებაზე ისრაელის ქალაქ ჰერცლიაში გაემგზავრა. უკრაინული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ბესონოვმა ისრაელში 27 ფეხბურთელი იახლა, რომელთა შორის სამივე ქართველი მოთამაშეა. "დნიპრო" ჰერცლიაში ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "დან აკადიაში" დაბინავდება, შეკრების განმავლობაში კი ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს.

პაპა ვაიგომ "ფიორენტინა" დატოვა

ფლორენციის "ფიორენტინა" პაპა ვაიგომ დატოვა. 25 წლის სენეგალელი ფეხბურთელი იჯარის წესით ნახევარი წლით "ლეჩეში" ითამაშებს. ვაიგო ფლორენციულ კლუბს გასული წლის ზამთარში შეუერთდა, როდესაც მან "ჯენოა" დატოვა, თუმცა პრანდელის გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა. იტალიის გასულ ჩემპიონატში პაპა ვაიგომ 7 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა, თუმცა მიმდინარე სეზონში ის მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილა. ამ ზამთარს პაპა-ს ბერძენ თავდამსხმელ პაპადოპულოსთან და "ინტერნასიონალის" ბრაზილიელ წარმომადგენელ ედინიოსთან ერთად ვაიგო "ლეჩეს" მესამე ახალწვეული იქნება.

"მუმუ" მომავალს იმედით უყურებს

მოსკოვის "ლოკომოტივისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი დავით მუჯირი უზრუნველყოფისთვის ყოველთვის სასურველი რესპონდენტია. "მუმუ" არასდროს არ ერიდება გულახდილად საუბარს და ენაწყლიანად გახლავთ.

მართალია, ქართველს რკინიგზელთა კლუბში პირველი სეზონი თითქმის ჩაუვარდა, მაგრამ იგი იმედინადა და მომავალ სეზონში აპირებს თავის გამოჩენას, მით უმეტეს, რომ "ლოკოს" მწვრთნელი დათოს ენდობა.

ამას წინათ რუსულ სპორტულ გამოცემა "სპორტ-ექსპრესში" გამოქვეყნდა "მუმუს" ვრცელი ინტერვიუ, რომელსაც მცირე შემოკლებით შემოგთავაზებთ.

- "ლოკომოტივიში" გატარებულ სადებიუტო სეზონს თქვენთვის წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუნოდებთ.

- საზაფხულო პაუზის დადგომამდე ძირითადში თითქმის არ მითამაშია. მწვრთნელი ჩემს ადგილს სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხედავდა. მას ჩემი იმედი სეზონის მეორე ნახევარში ჰქონდა, მაგრამ ზაფხულში დასანანი ყოფითი ტრავმა მივიღე. თავდაპირველად ფეხზე დახედვისაც კი შემეშინდა, გავიფიქრე, რომ ფეხბურთის ვერასოდეს ვეღარ ვითამაშებდი. კიდევ კარგი, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. თუმცა მწვრთნელი ამის შემდეგაც ერიდებოდა ძირითადში ჩემს დაყენებას. ეტყობა, არ უნდოდა დიდი ხნის უთამაშებელი მინდორზე გავეშვი.

- არადა, "ლოკომოტივიში" თქვენი გადაყვანა პირადად რახიმოვის სურვილი იყო. მიუხედავად ამისა, მაინც იშვიათად გწვევდა თამაშში.

- რახიმოვი ჩემს პოტენციალს ავსტრიის ჩემპიონატსა და "კრილიაში" ჩატარებული თამაშებიდან გამომდინარე აფასებდა. თავადაც იცით, რომ სეზონ



მუჯირი მომავალს "ლოკომოტივის" უკავშირებს

ნის დასრულების შემდეგ "ლოკომოტივიში" არაერთი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე და რაკი ამ სიაში არ მოხვდები, ეტყობა, მწვრთნელს ჩემი იმედი ისევ აქვს. ძნელია მთელი სეზონის განმავლობაში საკუთარ შანსს ელოდო და შემდეგ მის გამოყენებას ეცადო. მიხარია, რომ ჩემპიონატის ფინალზე ეს გამოვიყენე. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლა თურქეთში შეკრებაზე არ ვიქნებოდი.

- მართალია, რომ თავის დროზე გრაცის "შტურმში" რეკომენდაცია რახიმოვმა გაგინათ?

- ავსტრიის ჩემპიონატში პოსტსაბჭოური სივრციდან არც ისე ბევრი ფეხბურთელი თამაშობდა. ერთ დროს "შტურმს" საკუთარ რიგებში რახიმოვის ხილვა სურდა. მართალია, მაშინ რახიმოვი ამ კლუბში არ გადავიდა, მაგრამ

მე მართლაც გამინათ რეკომენდაცია. ეს საერთოდ მიღებული პრაქტიკაა.

- "ლოკომოტივიში" სერბულ-ხორვატიულად მოსაუბრე არაერთი ფეხბურთელია. მათ მართლა მშობლიურ ენაზე ელაპარაკებით?

- "შტურმში" რომ ჩავირიცხე, გუნდს ბოსნიელი ივიცა ოსიმი წვრთნიდა, ხოლო მოგვიანებით იგი სერბმა მიხაილო პეტროვიჩმა შეცვალა. გარდა ამისა, ყოფილი იუგოსლავიიდან კლუბში ბევრი ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებსაც მენტალიტეტის მსგავსების გამო ადვილად დავუახლოვდი. ავსტრიაში ჩასვლისას გერმანული არ ვიცოდი და ისინიც ამ ენაზე გაჭირვებით საუბრობდნენ, ინგლისური კი საერთოდ არ იცოდნენ. ამიტომ მათთან ურთიერთობისას სერბულ-ხორვატიულის

სწავლა მომიხდა.

- ინგლისურად კი თავისუფლად საუბრობთ. ეს ენა უნივერსიტეტში ისწავლეთ?

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, მალევე "დინამოში" მოხვდები და სერიოზულად სწავლის გაგრძელების საშუალება აღარ მქონდა. ინგლისურს კი სკოლაში საკმაოდ კარგ დონეზე დავეუფლე.

- ამბობენ, კარიერის დასრულების შემდეგ მუჯირი უზრუნველყოფის აპირებსო. მართალია?

- ეს დედაჩემს უნდოდა, რომ უნივერსიტეტში ჩამებარებინა. თავდაპირველად სპორტულ უზრუნველყოფას ვაპირებდი, მაგრამ მიჩიქეს, რომ, ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, - მეცხრე კლასამდე სკოლაში კარგად ვსწავლობდი, - მისაღები გამოცდები უფრო პრესტიჟულ ფაკულტეტზე ჩამებარებინა. უზრუნველყოფაზე ჯერ არ მიფიქრია, რადგან მაქვს საყვარელი პროფესია, რომელიც მაქსიმალურ თავდადებას მოითხოვს.

- ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება ცხოვრებას თქვენც გირთულებთ?

- რა თქმა უნდა. თბილისში პირდაპირი რეისები ისევ აკრძალეს და საქართველოში აზერბაიჯანის ან თურქეთის გავლით ჩავდივარ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ჩემი ნათესავებისა და მეგობრებისთვის რუსეთის ვიზის მიღება თითქმის შეუძლებელია. კლუბი რუსეთში ცოლ-შვილის ჩამოყვანაში დამეხმარა, მაგრამ სტუმრად ვინმეს მოწვევა არ შემიძლია.

- ესე იგი, მამათქვენი თქვენს მატჩებს ვერ ესწრება?

- მხოლოდ ტელევიზორში თუ ნახავს ჩემს თამაშს, ისიც იშვიათად. საფეხბურთო ამბებს ტელეფონით საუბრისას ვარჩევთ. თუ საშუალება იქნება,

მესიმ "ბარსელონას" ერთბაშაზე შეჰფიცა

მადრიდის "რეალი" დიდი ცვლილებების მოლოდინშია. გუნდი დატოვა რამონ კალდერონმა და მალე "სამეფო კლუბის" ახალი პრეზიდენტის ვინაობა გაირკვევა.

პრეტენდენტებზე საუბარს არ დავინწყებთ. მხოლოდ ერთს ვიტყვით: ყველა, ვისაც "რეალის" პრეზიდენტობა სურს, გულშემატივარს რაიმეს პირდება. მაგალითად, ფლორენტი-ნო პერესი ამბობს, რომ მისი არჩევის შემთხვევაში გუნდში ზიდანს დააბრუნებს, ერთ-ერთმა კანდიდატმა ისიც კი თქვა, რომ მისი არჩევის შემთხვევაში ის "ბარსელონიდან" ლიო მესის გადაიბირებს.

ნაცნობი ტაქტიკაა. თავის დროზე პერესმა სწორედ "ბარსელონიდან" ფიგუს გადაბირების პირობით მოიგო არჩევნები.

ერთია, რა პირობებს იძლევიან "რეალის" პრეზიდენტობის კანდიდატები და მეორე - რას ფიქრობს თავად ლიო მესი, რომლის ხილვასაც საკუთარ რიგებში, "რეალი" კი არა, ნებისმიერი მსოფლიო გრანდი ისურვებდა.

"ბარსელონას" არასდროს



"ბარსელონა" ჩემი სახლია; - ამბობს მესი

არ დავტოვებ. არსებობს ერთადერთი შანსი იმისა, რომ მე "ბარსელონა" წავიდე. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ კლუბიდან გამავდები. "ბარსელონა" ჩემი სახლია", - აცხადებს 21 წლის არგენტინელი, რომელსაც ამ სეზონში კატალონიური გრანდის შემადგენლობაში 14 გოლი აქვს გატანილი. მათ შორის ორი შაბათის მატჩში "ნუმანსიას" კარში გაიტანა.

ესპანურ მედიაში გავრცელებულ ჭორებზე კომენტარი თავად "ბარსელონას" პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ გააკეთა.

"საოცარი რამ ხდება. არ მინდა კონკურენტ გუნდზე ცუდი ვთქვა, მაგრამ საკმარისია "რეალი" რაიმე პრობლემა წარმოიშვას, მაშინვე ამ გუნდის მესვეურები მედიის საშუალებით ჩვენზე ჭორებს ავრცელებენ. უმჯობესი იქნება საკუთარ თავს მიხედონ. მესი "რეალი" - ეს სრული აბსურდია. ლიო აქ თავის ბედნიერად გრძნობს, ბრწყინვალე ფეხბურთის აჩვენებს და ყველა პირობას შევუქმნით, რომ მომავალშიც ასე იყოს", - თქვა ლაპორტამ.

ფაჩულია შაკილ ონილა დარაბრა

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ სათამაშო დღეს ზაზა ფაჩულია და "ატლანტა ჰორნეტსი" საკუთარ "ფილიპს არენაზე" დასაველეთ კონფერენციის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ "ფინიქს სანსს" მასპინძლობდნენ.

შემადგენლობის თვალსაზრით "ფინიქსი" ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. სტივენ ნემი, შაკილ ონილა და ამარი სტუდამაიერი ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ.

დასაველეთელებთან შეხვედრაში ზაზა "ატლანტას" ძირითად ხუთეულში იყო. ქართველ ცენტრს შაკილ ონილის წინააღმდეგ უწევდა თამაში და, ალაღად უნდა ითქვას, ლიგის ვეტერანმა ვარსკვლავმა ფაჩულიას ისევე აჯობა, როგორც "ფინიქსმა" - "ქორებს". 104:99 - ასეთი ანგარიშით მოიგეს სტუმრებმა მატჩი. მართალია, მთელი შეხვედრის განმავლობაში მოედანზე დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ სტუმართა მცირე უპირატესობა მაინც გამოიკვეთა, რაც მატჩის საბოლოო ანგარიშშიც აისახა.

ზაზამ მოედანზე 16 წუთი დაჰყო და თავის გუნდს 6 ქულითა და სამი მოხსნით დაეხმარა. შაკილ ონილა კი 19 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა.

ნარუმატებელი გამოდგა ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტური იმ გუნდებისთვისაც, რომლებშიც საქართველოს ნაკრების კალათბურთელები თამაშობენ.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში მოასპარეზე ქართველ კალათბურთელთაგან გამარჯვება მხოლოდ ტაირონ ელისის "კახასოლმა" იზეიმა. ელისმა, ნიკოლოზ ცქიტიშვილმა და ვლადიმერ ბოისამ კი ჯამ-



ფაჩულია ამოიდ ცდილობს სტივენ ნემის ტყორცნას დააფაროს

ში მხოლოდ 11 ქულა მოაგროვეს.

"კახასოლმა" სეზონში მესამე გამარჯვება (73:65) "გრანადასთან" იზეიმა, ხოლო საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა 29 წუთში 6 ქულა, 1 მოხსნა და 3 შედეგიანი გა-

დაცემა მიითვალა. ელისმა სევილიელთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 8-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, 2 ორქულიანი კი გააცუდა. "კახასოლის" რიგებში 10-ქულიან ზღვარი ოთხმა კალათბურთელმა გადალახა. მატჩის

საუკეთესო მოთამაშე კი გახდა გრანადელი ბორჩარდტი, რომელმაც 13 ქულითა და 16 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა.

ელისის კლუბი 3 მოგებითა და 16 მარცხით ბოლო ადგილზეა.

ვლადიმერ ბოისას "ვივემენორკა" ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ "ხუვენტუტს" ესტუმრა და 74:92 დამარცხდა.

ბოისამ მოედანზე 14 წუთი გაატარა და გუნდს 1 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი შეანია.

ვოვამ თითო ორქულიანი და სამქულიანი ააცილა, 2 საჯარიმოდან კი ერთი ზუსტად ტყორცნა.

სტუმართა შემადგენლობაში ჯეტერმა და ფერნანდესმა 18-18 ქულა მოაგროვეს, ხოლო "ხუვენტუტის" 18 წლის ვუნდერკინდმა რიკი რუბიომ 16 ქულა და 8 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

"ვივემენორკა" 5 გამარჯვებითა და 14 მარცხით მე-15 საფეხურზეა.

"კალის გრან კანარიასთან" წაგებულ (85:92) შეხვედრაში მხოლოდ 5 წუთს ითამაშა "ფუნელაბრადას" ქართველმა ფორვარდმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა.

"სკიტამ" მადრიდელთა სასტარტო ხუთეულში კი იასპარეზა, მაგრამ თამაშიდან 6-დან ერთადერთი ტყორცნა გამოიყენა და 2 ქულასა და 1 მოხსნას დასჯერდა.

"ფუნელაბრადას" ლიდერებმა მაინოლდმა და ოლესონმა, შესაბამისად, 27 და 21 ქულა მიითვალეს, მატჩის საუკეთესო კალათბურთელმა, მასპინძელმა კარლ ინგლიშმა კი 33 ქულა და 8 პასი მოაგროვა.

ცქიტიშვილის კლუბი 9 მოგებითა და 10 მარცხით ესპანეთის პირველობის მე-8 ადგილზეა.

მწვრთნელთა როკი "რეჯინაში"

იტალიური "რეჯინას" მთავარი მწვრთნელი ჯუზეპე პილონი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. Channel 4-ის ცნობით, გუნდის სათავეში დაბრუნდება ნევიო ორლანდი, რომელიც გასული წლის 16 დეკემბერს სწორედ პილონიმ შეცვალა.

ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით "რეჯინამ" 4 მატჩი გამართა, რომელთაგან 3 ნააგო და 1 ფრედ დაასრულა.

იტალიაში ქართველები უკმობენ

იტალიის სერია A-ს მე-19 ტურმა ქართველი ფეხბურთელების კახა კალაძისა და ლევან მჭედლიძის გარეშე ჩაიარა.

კალაძის "მილანი" "ბოლონიას" ტრავმირებული ქართველი მცველის გარეშე ენვია და მეტოქე 4:1 გაანადგურა.

კარლო ანჩელოტის გუნდში დუბლი ბრაზილიელმა კაკამ შეასრულა, თითო გოლი კი ზეედოროფისა და დევიდ ბუქემის ანგარიშზეა.

ინგლისელი ფეხბურთელისთვის ეს "მილანის" მაისურით გატანილი პირველი ბურთი გახლდათ. "მილანს" 37 ქულით მე-3 ადგილი უკავია.

29 ქულით მე-9 საფეხურზე დამკვიდრდა მჭედლიძის "პალერმო", რომელმაც "უდინეზე" 3:2 დაამარცხა.

სიცოცხელთა რიგებში ორი გოლი სიმპლისომ გაიტანა, გამარჯვების ბურთი კი კავანიმ შეაგდო. მჭედლიძე მასპინძელთა განაცხადში გახლდათ, თუმცა, მინდორზე არ გამოჩენილა.

"ტოტენჰემმა" ჭონსს დაადგა თვალი

ლონდონის "ტოტენჰემი" "სანდერლენდის" ფორვარდ კენუან ჯონსის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს.

ტრინიდადი და ტობაგოს წარმომადგენელი თავდამსხმელი "სანდერლენდში" "საუთჰემპტონიდან" 2007 წელს ჩაირიცხა.

"შავი კატების" რიგებში ჯონსმა 45 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა. ტრინიდადის ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელს 35 თამაშში 4 გოლი აქვს გატანილი.

ფერგიუსონი - ყველაზე გავლენიანი

ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ბრიტანულ სპორტში მოღვაწე ყველაზე გავლენიან ადამიანად აღიარეს.

The Times-ის მიერ შედგენილ 100 ყველაზე ავტორიტეტულ პირს შორის 67 წლის შოტლანდიელმა ლონდონის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სებასტიან კოუ და "მანჩესტერ სიტის" მფლობელი, შეიხი მანსური დაჯაბნა (ისინი, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ) და პირველ პოზიციაზე დამკვიდრდა.

ჩამონათვალში აგრეთვე არიან: "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი (მე-6 ადგილი), "მილანის" ნახევარმცველი დევიდ ბუქემი (მე-7 ადგილი), ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო (მე-8 ადგილი), ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი (მე-20 ადგილი).

ჰიდინკს ჭერარდი ურჩევნია

რუსეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გუს ჰიდინკი აცხადებს, რომ პლანეტის საუკეთესო მოთამაშედ პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუს დასახელება ბევრად განაპირობა მისმა მომხიბვლელმა გარეგნობამ.

ფეხბურთის ჰოლანდიელ სპეციალისტს განსაკუთრებით ალაფრთოვანებს რონალდუს ვარცხნილობა.

"ცხადია, კრიშტიანუ რონალდუ ჩინებული ფეხბურთელია, თანაც ულამაზესად გამოიყურება! მისი ვარცხნილობა მუდამ "მონოდების სიმალეზეა". მიმანია, რომ პირადი ჯილდოები მან, საფეხბურთო მიღწევების გარდა, გარეგნული მონაცემების წყალობითაც მოიპოვა. მე სტივენ ჯერარდს ვანიჭებ უპირატესობას. ეს ფეხბურთელი შესანიშნავია როგორც ტექნიკური, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით. ხოლო მისი საბრძოლო სულისკვეთებით არ შეიძლება არ აღფრთოვანდე. ჯერარდი იმ მოთამაშეთაგანია, რომლებსაც ქომაგები აღმერთებენ. სტივენს თავისი კლუბი უყვარს, ხოლო გულშემატკივრები მასზე კარგავენ ჭკუას. მიმანია, რომ მსოფლიოში სხვა არც ერთი ფეხბურთელი არ არის ასეთი თვისებებით დაჯილდოებული. ჯერარდის მსგავსი მოთამაშეები უფრო მზიბლავენ, ვიდრე ისეთები, როგორც რონალდუა", - განაცხადა ჰიდინკმა.

მარცხიანი დღე მელბურნში

ავსტრალიის ლია პირველობა ჩოგბურთში გადამწყვეტ ფაზაში შედის. ერთი კვირაც და ცნობილი გახდება სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულებიც.

გუშინ მელბურნში მარცხიანი დღე იყო.

რვა მატჩიდან, რომელიც ქალთა და ვაჟთა გათამაშების ერთეულთა თანრიგში გაიმართა, სამი არ დასრულებულა, ჩოგბურთელებმა ტრავმების გამო შეწყვიტეს თამაში.

ფრანგულ დაპირისპირებაში მონფისი სიმონს დანებდა მას შემდეგ, რაც სამი სეტის შემდეგ თანამემამულესთან მეოთხე პარტიას 2:1-ს აგებდა. აზარენკომ სერენა უილიამსთან მატჩში მიიღო ტრავმა და ამერიკელი უპრობლემოდ გაუშვა შემდეგ ეტაპზე, კუზნეცოვას კი ფენგი პირველივე სეტში დანებდა.

გუშინვე მორიგი გამარჯვება იზეიმა რაფაელ ნადალმა. მსოფლიო ამჟამის პირველი ნომერი ავსტრალიის ლია პირველობაზე დამაჯერებელ ჩოგბურთს აჩვენებს. ერთადერთი, ვისაც მისთვის წინააღმდეგობის განწევა შეუძლია, შვეიცარიელი როჯერ ფედერერია. გუშინ ნადალმა სამ სეტში ჩილეელი ფერნანდო გონსალესი დაამარცხა.

გუშინდელი დღის მთავარ მატჩად კი ენდი მიურეისა და ფერნანდო ვერდასკოს დაპი-



ნადალი წინ მიიწევს

რისპირება იქცა.

ბრიტანეთის იმედმა ვერაფერი გაანყო ესპანელის წინააღმდეგ, არადა, თუ ავსტრალიის ლია პირველობის საფარს გაეითვალისწინებთ, მიურეის ვერდასკოსთან უპირატესობაც უნდა ჰქონოდა.

ბრიტანულ-ესპანური დაპირისპირება დაძაბული და ხანგ-

რძლივი გამოდგა. პირველი სეტი ენდომ იოლად მოიგო (6:2), თუმცა ასევე იოლად მიურეიმ მეორე სეტი დათმო (1:6). ბრძოლა არც მესამე სეტში ყოფილა, ენდი მიურეიმ ესპანელს სრულყოფილი რევენში აულო მეორე სეტის წაგებისთვის. თითქოს ამის შემდეგ თამაშის მოგებაც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგ-

რამ ვერდასკომ ძალები მოიკრიბა და ზედიზედ ორი სეტი მოუგო ბრიტანეთის საჩოგბურთო იმედს.

ქალთა ტურნირში სენსაციები არ მომხდარა. კუზნეცოვასა და უილიამსთან ერთად გამარჯვებისთვის ბრძოლას განაგრძობენ დემენტიევა და სუარეს ნავარო.

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20st of January, the leader of the world press New York Times with 24 Saati.
- New York Times selects the articles each week specialy for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული ზიუნდ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



AFP - 2009

სუპერ გიგანტში კორტინა დამპეცოს (იტალია) ფერდობებზე ფრანგმა მარი მარშან-არვიემ მსოფლიო თასის ეტაპებზე მე-14 ადგილი დაიკავა. იტალიელზე წინ ადგილები დაიკავეს შვედმა ტესიკა ლინდელ-ვიკარბიმ, ავსტრიელმა ანა ფენინგერმა და შვეიცარიელმა ანდრეა დეტინგმა.

თვალის მიკროქირურგიის ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს კლინიკა "ოფთალმიჯი"

ს ი ა ს ლ ე

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა - ფაკოემულსიფიკატორი "INFINITI" კატარაქტის უნაკერო ქირურგიის ახალი ერა საქართველოში

რეკომენდებულია განაკვეთი მხოლოდ 2.2 აა!!!

ტელეფონი: 30 53 53; 30 10 80

გააზრდეთ სმს ჯეოსელიდან, მაგთიდან, ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ ივენანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

**შეამოგვიერთდით, ერთად
დავუზრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

ფონდი ივენანა
გაზეთი 24 საათი



HIDROMEK
www.hidromek.com

AS TECHNIC LTD. 97.D. AGMASHNEBELI, Tbilis, GEORGIA
Phone:+ 995 32 452312 Fax:+ 995 77451815



000000000000 48 0
000: 740 740
www.gtgroup.ge

Ford Transit

Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors



16 950
ევროდან



გარანტია 2 წელი

iVan

"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი

გარანტია 2 წელი

25 500
ევროდან



MST

"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოდერები

გარანტია 1 წელი

46 000
ევროდან



ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიციალური დილერი საქართველოში

როდოყაზვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge



გარანტია 2 წელი

(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)

49 000
ევროდან

თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ტენდერის საგანი:

შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (შემდგომში კორპორაცია) აცხადებს ტენდერს BRENT (DTD) ტიპის ნავთობის 10 000,0 (ათი ათასი ± 10%) ტონა გაყიდვასთან დაკავშირებით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სარეალიზაციო ქონების დასახელება:

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ პოტენციურ მყიდველს სთავაზობს ნავთობს შემდეგი ხარისხის მაჩვენებლებს მაქსიმალური ზღვარით:

BRENT (DTD): სიმკვრივე 200 C -ზე - 0,820-0,845 გრ/სმ³ ;
გოგირდის მაქსიმალური ნონითი შემცველობა - 0,3%;
წყლის მაქსიმალური ნონითი შემცველობა - 1%.

3. მიწოდების პირობები:

BRENT (DTD) ტიპის ნავთობის მიწოდება განხორციელდება FCA (INCOTERMS 2000) პირობით სოფელ ვაზიანის რკინიგზის სადგურის ჩიხში (ობიექტის სტაციონარული დანიშნულების კოდი - 1120011) ჩატვირთვა მყიდველის კუთვნილ ვაგონ-ციტერნებში.

4. ტენდერში მონაწილეობის პირობები:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წინასწარ, „ბე“-ს სახით, კორპორაციის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს 50 000,0 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი ან ამ თანხის ექვივალენტური ოდენობა ლარში, ჩარიცხვის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განაცხადის შეტანამდე შეიძინოს ტენდერში მონაწილეობის ბილეთი, რომლის ღირებულება 50 (ორმოცდაათ) ლარს შეადგენს;

გ) ნავთობის საბოლოო ფასი ერთ ბარელ ნავთობზე დადგინდება ნავთობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით დადგენილი გადაზიდვის დასაწყისის თარიღის მიხედვით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით დადგენილი პერიოდის (არაუმეტეს 31 უწყვეტი კალენდარული დღის) განმავლობაში შესაბამისი „Platts Crude Oil Marketwire“-ის გამოცემაში „Key Benchmarks“-ის სათაურის ქვეშ გამოქვეყნებული BRENT (DTD) ტიპის ნედლი ნავთობისთვის დღიური საშუალო ფასების საშუალო არითმეტიკულ მნიშვნელობას გამოკლებული ტენდერით დადგენილი დისკაუნტი (ფასდაკლება);

დ) ხელშეკრულების ხელმოწერა უნდა მოხდეს ტენდერში გამარჯვებული პირის გამოცხადებიდან მაქსიმუმ ხუთი კალენდარული დღის განმავლობაში;

ე) ნავთობის გადაზიდვა უნდა დაიწყოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 კვირისა;

ვ) ვაგონ-ციტერნების ადგილზე მომსახურების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის და მოცდენის ხარჯი, გარდა გამყიდველის მიზებით გამოწვეული მოცდენისა, ეკისრება ნავთობის მყიდველს;

5. განაცხადის წარმოდგენის და ტენდერის ჩატარების ვადები:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველმა 2009 წლის 2 თებერვალს 1200 საათამდე სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად კორპორაციაში უნდა წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი, მონაწილეობის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთი და მე-6 მუხლში მითითებული ინფორმაცია;

ბ) მსურველებმა სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ს/ი 0190, კახეთის გზატკეცილი N21, შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“. ტელ: 24 40 40;

გ) სატენდერო დოკუმენტაცია გაიხსნება 2009 წლის 2 თებერვალს 1500 საათზე, შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21). ტენდერში მონაწილე პირს თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

6. სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტმა განაცხადთან ერთად:

ა) ტენდერში მონაწილე კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდება, რეგისტრაციის მოწმობა) თითო ასლი;

ბ) ტენდერში მონაწილეს გამოცდილება ნავთობით ვაჭრობის სფეროში;

გ) ტენდერში მონაწილეს რეკვიზიტები: დასახელება, მისამართი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები;

დ) სატენდერო წინადადება, რომელიც შეიცავს:

1) განაცხადს ტენდერში მონაწილეობის შესახებ.

2) შემოთავაზებული დისკაუნტი (ფასდაკლება) 1 ბარელ ნავთობზე აშშ დოლარში.

3) ნავთობის გატანის ვადები.

7. გადახდის პირობები:

ა) ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია ნავთობის მიწოდების დაწყებამდე წინასწარ გადაიხადოს ან კორპორაციას წარუდგინოს საბანკო გარანტია გაცემული კორპორაციისათვის მისაღები ბანკის მიერ და კორპორაციისათვის მისაღებ პირობებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნავთობის ღირებულების 110 (ასათი) პროცენტი. ნავთობის ამგვარი ღირებულება გამოითვლება ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის Platts-McGraw Hill Companies მიერ BRENT (DTD) ტიპის ნავთობზე დადგენილი მაქსიმალური ფასის გამრავლებით მისაწოდებელი ნავთობის მოცულობაზე;

ბ) ტენდერში მონაწილეებს, გარდა ტენდერში გამარჯვებულისა, გადახდილი „ბე“ შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დაუბრუნდება ტენდერის დასრულებისთანავე საბანკო დღის განმავლობაში. ტენდერში გამარჯვებული მონაწილის მიერ გადახდილი „ბე“ კი კორპორაციის მიერ გამოყენებული იქნება ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფის გარანტიად და ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ჩაითვლება მისაწოდებელი სასაქონლო ნავთობის საფასურის ნაწილად;

8. სატენდერო წინადადების შერჩევა:

ა) სატენდერო წინადადებები გაიხსნება შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სატენდერო კომისიის მიერ;

ბ) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ იტოვებს უფლებას არ განაცხადოს საჯაროდ ტენდერში მონაწილე კომპანიების შემოთავაზებები;

გ) შერჩეული კომპანიისთვის ნედლი ნავთობის შექმნის უპირატესობა განისაზღვრება შემოთავაზებული უმდაბლესი დისკაუნტის მიხედვით და სატენდერო პირობების გათვალისწინებით;

9. სხვა პირობები:

ა) დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით, რომელზეც აღნიშნულია ტენდერში მონაწილე პირის დასახელება და აღნიშვნა, რომ დოკუმენტები წარმოდგენილია გამოცხადებული ტენდერისთვის;

ბ) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირებისაგან;

გ) ტენდერში მონაწილეები არ იქნებიან უფლებამოსილი ჩაასწორონ, შეცვალონ ან გამოითხოვონ სატენდერო წინადადება მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;

დ) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი წინადადება ყოველგვარი ასხნა განმარტების გარეშე წარმოდგენის მიმართ;

ე) ტენდერის ჩატარების შესახებ წინამდებარე განცხადების პირობებით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ასევე კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე - www.gogc.ge

ვ) სატენდერო წინადადების შემოტანის და ტიპიური ხელშეკრულების პროექტის გასაცნობად დაინტერესებულ პირებს 2009 წლის 25 იანვრიდან 30 იანვრამდე შეუძლიათ მიმართონ შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“, შემდეგ მისამართზე:

საქართველო,
ქ. თბილისი,
კახეთის გზატკეცილი 21
საკონტაქტო პირი - დავით ციციშვილი
ტელ: +995 (32) 244040 (გაფართობა 221)
ფაქსი: +995 (32) 244041
ელ. ფოსტა d.tsitsishvili@gogc.ge

კორპორაციის საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: 220 101 502
მომღები: შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
საიდ. კოდი: 206 237 491
ანგარიშის ნომერი: 145 770 000

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

„ოფთალმიჯი“

ეროადიაროი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოქრავი საოპერაციო

გლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური ბროლი Acrysof-ReSTOR საუკეთესო მხედველობა სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ბანკსადასახადო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი- ქ. გორი სტალინის გამზირი N16, ს.კო- დი 218065910, აცხადებს ტენდერს ქ. გორში ქუჩების დაგვა-დასუფთავების, მოსახლეობი- დან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის და ცენტრალური ნა- გავსაყრელის მოვლის მომსახურების შესასყიდად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მი- საღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

- ა) ქუჩებისა და ტროტუარების დაგვა-დასუფთავება — 171160 მ² ყოველდღიურად
- ბ) მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა - 5 215 კუბ.მ./თვეში;
- გ) ორგანიზაცია-დანესებულეებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა- 2750 კუბ.მ./თვეში.

დ) ცენტრალური ნაგავსაყრელის მოვლა

2. მომსახურების განევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 იანვრამდე ყოველდღიურად.

3. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალი- ფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, (დე- დანი და 1 ასლი) მოთავსებული დახურულ პაკეტებში (შელწვეადობის გარეშე), 2009 წლის 17 თებერვალს 10 საათიდან- 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზ. N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კო- მისიის აპარატში (ოთახი N205).

4. საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაცი- ის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანი- ზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანე- ბა;

